

ზაზა შველიძე

ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა ავტოსატრანსპორტო
საშუალებით მიყენებული ზიანის გამო

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
2020 წელი

საავტორო უფლება © 2020 წელი, ზაზა შველიძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშრომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა: ზაზა შველიძე

თარიღი: 30.07.2020

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი ზაზა შველიძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა ავტოსატრანსპორტო საშუალებით მიყენებული ზიანის გამო და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლაშა ცერცვაძე

თარიღი : 30.07.2020

რეზიუმე

დელიქტი და დელიქტური ურთიერთობა ადამიანებს შორის პირველივე კონფლიქტისთანავე წარმოიშვა. მართალია, იმ დროისათვის პოზიტიური სამართალი ან საჯაროდ ჩამოწერილი საზოგადოებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმები არ არსებობდა, მაგრამ მორალისა და ჩვეულების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები გაკიცხვადი იყო, რის გამოც სხვადასხვა სახის სასჯელიც კი გამოიყენებოდა. ადრეულ ხანაში დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრება წარმოუდგენელი იყო ბრალის გარეშე, თუმცა, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად, მათ შორის, ტექნოლოგიური მიღწევების, ინდუსტრიალიზაციის, სამართლის შემფარდებლების წინაშე დადგა აუცილებლობა ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის გამოყენებისა. ეს კი დაუკავშირეს მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებას. მომეტებულ საფრთხედ კი მიიჩნევა ისეთი საგანი, რომელზედაც ადამიანს სრული კონტროლის განხორციელება არ შეუძლია. რას გულისხმობს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა, დასაშვებია თუ არა ქმედების გარეშე ასეთი პასუხისმგებლობის დაკისრება, ეს ის საკითხებია, რაზედაც საუბარი იქნება წინამდებარე ნაშრომში.

იურიდიულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში ავტოსატრანსპორტო საშუალება მომეტებული საფრთხის წყაროდ მიიჩნევა. მისი გამოყენებისას მფლობელი ვალდებულია ზედმიწევნით დაიცვას, როგორც საგზაო მოძრაობის წესები, ასევე, წინდახედულობის ნორმები. ზიანის მიყენების გამო პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია იგი წარმოშობილი იყოს უშუალოდ ექსპლუატაციის შედეგად.

სასამართლო პრაქტიკამ დაამკვიდრა არასწორი მიდგომა ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის სუბიექტთან დაკავშირებით. სასამართლოს მიერ სკ-ის 999-ე მუხლის არასწორმა განმარტებამ ხელი შეუწყო მოცემული ნორმის არასამართლიანად გამოყენებას. სამართლის დანაწესის, როგორც გრამატიკული, ისე მიზნობრივი ინტერპრეტაციით დგინდება, რომ მფლობელში უნდა მოვიაზროთ უშუალოდ ფაქტობრივი ბატონობის განმახორციელებელი პირი და არა მესაკუთრე. თუ ქმედებად მომეტებული საფრთხის წყაროზე მფლობელობის გადაცემას განვიხილავთ, მაშინ მიზეზობრივი კავშირის პრობლემას გვერდს ვერ ავუვლით.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ქართული სასამართლო პრაქტიკა. გაკრიტიკებულია სასამართლოების მიდგომა პასუხისმგებელ სუბიექტთან დაკავშირებით, თითქოსდა მოცემული მუხლის შინაარსში საუბარი არაპირდაპირ მფლობელზე იყოს. გაუგებარია რატომ უნდა დავყოთ მფლობელობა იურიდიულ და ფაქტობრივად. მფლობელობა ხომ ფაქტობრივი ბატონობაა. მაშასადამე, თუ იურიდიული საფუძვლის გარეშე ანუ კანონის/უფლებამოსილი პირის ნებართვით ხორციელდება ფაქტობრივი ბატონობა, იგი უნდა ჩაითვალოს არამართლოზომიერ მფლობელობად. მსგავსი დაყოფა აზრს მოკლებული და არაპრაქტიკულია.

Abstract

Tort and tort relationship arose from the very first conflict between people. It is true that at that time there were no positive laws or norms governing publicly written public relations, but actions against morals and customs were reprehensible, which led to the use of various punishments. In the early days, the imposition of tortious liability was unthinkable without guilt, however, with the development of public life, including technological advances, industrialization, it was needed to arise to exercise liability without guilt. This has even been linked to the use of an increased source of danger. An increased threat is considered to be an object over which a person cannot exercise complete control. What is meant by strict liability, whether it is permissible to impose such liability without action, these are the issues that will be discussed in the present paper.

In legal doctrine and case law, a vehicle is considered a source of increased danger. When using it, the owner is obliged to strictly follow the rules of the road, as well as the norms of prudence. In order to be liable for the damage caused, it must be caused directly by the exploitation.

The case law has established a wrong approach to the subject of liability without guilt. The Court's misinterpretation of Article 999 contributed to the unfair use of this provision. Both grammatical and purposeful interpretations of the rule of law establish that the holder should be thought of directly as the person exercising actual dominion and not the owner. And if we consider the transfer of ownership to the source of the increased danger as an action, then the problem of causal connection cannot be avoided.

This work discusses Georgian court practice. The approach of the courts towards the responsible subject is criticized, as if the content of the given article refers to the indirect owner.

It is unclear why we should divide ownership legally and in fact. Ownership is de facto domination. Therefore, if actual domination is exercised without a legal basis or with the permission of a law / authorized person, it should be considered as illegal possession. Such a division is meaningless and impractical.

შინაარსი

შესავალი

ლიტერატურის მიმოხილვა

2. დელიქტის გენერალური დათქმა	10
2.1 მართლსაწინააღმდეგო ქმედება	11
2.2 ბრალი	14
2.3. მიზეზობრივი კავშირი	16
3. სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების ზოგადი დახასიათება	18
3.1 მფლობელობის ინსტიტუტი	19
3.2. სატრანსპორტო საშუალების მფლობელი	20
3.3. ზიანის ანაზღაურების გამომრიცხავი გარემოებები	22
4. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში	23
4.1. შერეული ბრალი	25
4.2. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლები	27
4.3. 999-ე მუხლის დამცავი ფუნქცია	28
4.4. ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი	29
4.5. მტკიცების ტვირთი	30
4.6. ვინ მოიაზრება 999-ე მუხლში ნახსენებ მფლობელში?	31
4.7. უფლებამონაცვლეობა	34
4.8. სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში	38
4.7. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა	41
5. სასამართლო პრაქტიკა	41

დასკვნა

ბიბლიოგრაფია

შესავალი

სამოქალაქო კანონთა მიზანია სამოქალაქო ბრუნვის უზრუნველყოფა, აბსოლუტური სიკეთეების დაცვა, რომლებიც ხელს უწყობს პიროვნების ღირსეულ და სათანადო პირობებში ცხოვრებას, ინდივიდალ ჩამოყალიბებას, საზოგადოებაში სოციალიზებას. სამართალი ყოველივე ამას აღწევს გარკვეული აკრძალვებით, იმპერატიული მოთხოვნებით. იმისდა მიხედვით, რა სახის სამართლებრივ ურთიერთობას არეგულირებს საკანონმდებლო ნორმები, განსხვავდება მათი ფუნქცია. მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედებისაგან, რომელიც ზიანის გამოწვევი ქმედებაა, თავის შეკავების ვალდებულებას ადგენს დელიქტურისამართალი. მას ეკისრება სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებისდაცვის, სამოქალაქო ბრუნვაშიარსებული რისკების და მათთანდაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის სამართლიანიგადანაწილების ფუნქცია¹. დელიქტურმა სამართალმა უნდა უზრუნველყოს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე პირის უფლებებისა დაინტერესების სფეროში დაუშვებელი ჩარევისაგან დაცვა².

დელიქტის დათქმა მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლში. ზოგადი სახით გენერალური დელიქტი გულისხმობს პირისპასუხისმგებლობას მის მიერ გამოწვეული პირდაპირი ზიანისათვის³. 992-ე მუხლის შემადგენლობის ელემენტებია: სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი; დამრღვევის მართლსაწინააღმდეგოქმედება; მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგსშორის; სამართალდამრღვევის ბრალი⁴. ბრალის განმარტებას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა, თუმცა დოქტრინისეული ცნებიდან

¹ბათლიძე გ. ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, გვ.17

²იქვე, გვ.17

³ი. სვანაძე, დელიქტური გენერალური დათქმა და პასუხისმგებლობა სუფთა სახის ქონებრივი ზიანისათვის, თბილისი, 2019, გვ.26

⁴ძლიერიშვილი ზ, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012, 109

იკვეთება, რომ ის მოიცავს მართლწინააღმდეგობას და მის შეცნობას⁵. ბრალის დადგენის შემდგომ უნდა შემოწმდეს, არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და ზიანს შორის. მიზეზობრივი კავშირის პოვნა და მისი შეფასება მხოლოდ ორი ელემენტითხდება⁶. პირველი, რასაც ვამოწმებთ არის, უსწრებდა თუ არა პირის ქმედებადამდგარ შედეგს, ანუ - ზიანს⁷ ამის დადასტურების შემთხვევაში ვამოწმებთ იმას, გამოიწვია თუ არა სწორედ ამ პირის ამ ქმედებამ ეს შედეგი⁸.

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია ცალკეულ დელიქტურ ვალდებულებებზე ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპის გამოყენება, რაც გამომდინარეობს მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელობიდან. ზიანის ანაზღაურების ვალდებულებამომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს ბრალის მიუხედავად ეკისრება⁹. ეს მოსაზრება გაზიარებულია სასამართლო პრაქტიკაში. ხშირია ისეთი დავები, სადაც მფლობელობის გადაცემის მიუხედავად, პასუხისმგებლობა არაპირდაპირ მფლობელს, მესაკუთრეს ეკისრება.

სამართლის ნორმის ასეთი განმარტება ეწინააღმდეგება, როგორც სამართლიანობის პრინციპს, ასევე, მის მიზანს. ნორმის განმარტების ერთ-ერთი მეთოდი ტელეოლოგიური განმარტებაა. მსგავსი მიდგომით, დაუშვებელია, სამართლის ნორმამ მოიცვას ისეთი ურთიერთობები, რომლებზეც მისი მოქმედება (ნორმის მიზნიდან გამომდინარე) არ უნდა გავრცელებულიყო.¹⁰

ზემოაღნიშნული გარემოებები ცხადად მიუთითებს თემის აქტუალობაზე. ნაშრომში იქნება მსჯელობა ნახსენები ნორმა რა მეთოდით უნდა განიმარტოს, რომელი გზაა უკეთესი კანონმდებლის მიზნის დასადაგენად.

⁵ქოჩაშვილი ქ, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა, სამართლის ჟურნალი N1, 2009, 78

⁶ი. სვანაძე, დელიქტური გენერალური დათქმა და პასუხისმგებლობა სუფთა სახის ქონებრივი ზიანისათვის, თბილისი, 2019, გვ.36

⁷ იქვე, გვ.36

⁸ იქვე, გვ.36

⁹ ძლიერიშვილი ზ, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012, 117

¹⁰ შდრ. გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 156-157

სკ-ის 999-ე მუხლში ნახსენებ მფლობელში უნდა მოვიაზროთ თუ არა მესაკუთრეც (არაპირდაპირი მფლობელი). ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა გულისხმობს ქმედების გარეშე პასუხისმგებლობას. გასარკვევია საკითხი, რამდენად შეესაბამება იგი სამართლიანობის პრინციპს. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დელიქტური სამართლის ზოგადი დათქმით, პირს პასუხისმგებლობა ეკისრება ბრალის არსებობის და მიზეზობრივი კავშირის არსებობის შემთხვევაში, უნდა დადგინდეს დასაშვებია თუ არა გამონაკლისი ამ ზოგადი წესიდან. აღნიშნული კი მიიღწევა, როგორც ზემოთ ითქვა, ნორმის მიზნობრივი, ტელეოლოგიური განმარტებიდან. სკ-ის 999-ე მუხლი იცავს დაზარალებულს. ეს უკანასკნელი კი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სრული და სამართლიანი ზიანის ანაზღაურებით.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს არაერთგვაროვანი პრაქტიკა იწვევს უსამართლო შედეგებს. ერთ შემთხვევაში დელიქტურ ურთიერთობაში ხდება მესაკუთრის ჩართვა, ხოლო სხვა შემთხვევებში მხოლოდ პირდაპირ მფლობელზე ვრცელდება პასუხისმგებლობა. სასამართლოს, თავისი ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, ვალდებულია ნორმა განმარტოს იმგვარად, რომ არ დაირღვეს ბალანსი, ერთი მხრივ, კრედიტორს, ზიანის მიმყენებელ პირს და, მეორე მხრივ, მოვალეს, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მქონე პირს შორის. ამასთან, სამართლებრივ ურთიერთობაში, ამ შემთხვევაში დელიქტურ ურთიერთობაში, არ უნდა მოხდეს ისეთი სუბიექტის ჩართვა, რომლისთვისაც პასუხისმგებლობის დაკისრება გამოიწვევს უსამართლო შედეგებს. სასამართლო გადაწყვეტილება კი უნდა იყოს სწორი, ლოგიკურად დასაბუთებული და სამართლიანი. წინამდებარე ნაშრომით შესაძლებელი გახდება ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის სუბიექტის დადგენა. სკ-ის 999-ე მუხლი პირდაპირ უთითებს სატრანსპორტო საშუალების მფლობელზე. გასათვალისწინებელია, რომ სამოქალაქო კოდექსი მესაკუთრის აღსანიშნავად, არასოდეს უთითებს როგორც

არაპირდაპირ მფლობელს. მფლობელს გააჩნია, როგორც გარკვეული უფლებები, ისე ეკისრება ვალდებულებებიც. შესაბამისად, თუ ორი სახის მფლობელობა ხორციელდება ნივთზე - პირდაპირი და არაპირდაპირი, დაუშვებელია მესაკუთრეზე პასუხისმგებლობის გავრცელება. აღნიშნული გამომდინარეობს ნორმის დამცავი მიზნიდან.

სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს კვლევის შემდეგ მეთოდებს: დესკრიფციული მეთოდი, ანალიზური მეთოდი, სინთეზური მეთოდი.

ნაშრომი შედგება, შესავალის 5 თავის, 15 ქვეთავისა და დასკვნითი ნაწილისაგან.

ნაშრომის მეორე თავი ეთმობა დელიქტური სამართლის ზოგად დახასიათებას, სამართლებრივად დაცულ სიკეთეს, მიზნებს. განხილული იქნება მისი დამდგენი წინაპირობები: 1) ქმედება; 2) სამართლებრივად რელევანტური ზიანი; 3) ბრალი; 4) მიზეზობრივი კავშირი.

ნაშრომის მესამე თავში წარმოდგენილია სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების ზოგადი დახასიათება, მფლობელობის ინსტიტუტი, სატრანსპორტო საშუალების მფლობელი და ზიანის ანაზღაურების გამომრიცხავი გარემოებები.

ნაშრომის მეოთხე თავში დადგენილია ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, საუბარია მტკიცების ტვირთზე და მისი განსაზღვრის წინაპირობებზე. უფლებამონაცვლეობასა და ხანდაზმულობის ვადებზე.

ნაშრომის მეხუთე თავი ეთმობა ქართულ სასამართლო პრაქტიკას. განხილული იქნება საკასაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც პასუხისმგებლობა არაპირდაპირ მფლობელს ანუ მესაკუთრეს დაეკისრა.

ლიტერატურის მიმოხილვა

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი ლიტერატურა: ნორმატიული მასალა: სამოქალაქო კოდექსი.

თემაზე მუშაობისას განსაკუთრებული დახმარება გამიწია:

ირაკლი სვანაძეს სამაგისტრო ნაშრომმა „დელიქტური გენერალური დათქმა და პასუხისმგებლობა სუფთა სახის ქონებრივი ზიანისათვის“ (2019), რომელიც დელიქტის ნიშნებს, მიზნებსა და წინაპირობებს ეხება.

მიხეილ ბიჭიას წიგმმა „კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები (2016), მასში აღწერილია დელიქტური სამართლის ცალკეული ურთიერთობები, მათ შორის, ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციიდან გამომდინარე დელიქტები.

ზურაბ ძლიერიშვილის წიგმმა „ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა (2018), რომელშიც განხილულია ზიანის ანაზღაურების წინაპირობები, ანაზღაურებაზე ვალდებული პირი და სხვა საკითხები.

ზურაბ ჭეჭელაშვილის წიგმმა „სანივთო სამართალი“, მეოთხე გადამუშავებულმა და სრულყოფილმა გამოცემამ (2016). მასში მიმოხილულია, როგორც მფლობელობის მომწესრიგებელი ნორმები, ასევე, მოთხოვნების და უფლებების დათმობა, წინაპირობები, სამართლებრივი შედეგები.

თინათინ ტარტარაშვილის სამაგისტრო ნაშრომმა „სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება (2019), რომელშიც უშუალოდ სკ-ის 999-ე მუხლით დადგენილი გარემოებებია გაანალიზებული.

ქეთევან მესხისვილის ნაშრომმა „კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა“, ტომი I (2020). იგი ეხება ისეთ მნიშვნელოვან საპროცესო სამართლებრივ დანაწესს, როგორცაა მტკიცების ტვირთის გადანაწილება. განხილულია, ასევე, პრეზუმციის არსი და მნიშვნელობა.

ბათლიძე გ. ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, სტატიაში დეტალურად და ამომწურავადაა ჩამოყალიბებული დელიქტის შემადგენლობის ზოგადი გარემოებები, დელიქტური ნორმით დაცული სიკეთეები.

წულაძე მ, მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლები, სამართლის ჟურნალი N1, 2015. სტატიაში აღწერილია პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლები. ქართული სამართალი შედარებულია ფრანგულ სამართალთან.

ბიჭია., მ. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, მართლმსაჯულება და კანონი N3(51), 2016, სტატიაში განხილულია არაქონებრივი ზიანის ცნება, მისი ნიშნები, ანაზღაურების წინაპირობები.

გაიპარაშვილი მ., ახლობელი ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურება საქართველოს სამართლის მიხედვით, კერძო სამართლის მიმოხილვა N2, 2019. სტატიაში მიმოხილულია პირის გარდაცვალების შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხები. ქართულ სასამართლო პრაქტიკასთან ერთად, ვხვდებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

2. დელიქტის გენერალური დათქმა

სამართლის სუბიექტებს ეკისრებათ კეთილსინდისიერად ქცევის ვალდებულება. დაუშვებელია მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც სხვა პირების უფლებების შელახვას იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებისაგან სავარაუდოა კეთილსინდისიერი ქცევა, იგი მაინც უნდა კონტროლდებოდეს და რეგულირდებოდეს სამართლებრივი ნორმებით. სწორედ მსგავსი შინაარსის ნორმებითაა დატვირთული დელიქტური სამართალი. მან უნდა უზრუნველყოს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე პირის უფლებებისა და ინტერესების სფეროში დაუშვებელი ჩარევისაგან დაცვა¹¹. თავისი მიზნებიდან გამომდინარე, დელიქტურ სამართალს ეკისრება სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოების დაცვის, სამოქალაქო ბრუნვაში არსებული რისკების და მათთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის სამართლიანი გადანაწილების ფუნქცია¹².

სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს კანონის ძალით გულისხმიერების ვალდებულება ეკისრებათ. დაუშვებელია სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილემ თავისი უფლებები ბოროტად გამოიყენოს. გულისხმიერების ვალდებულება კეთილსინდისიერების პრინციპთან ერთად უნდა განვიხილოთ. იგი მიმართულია მესამე პირების სამართლებრივი დაცვისაკენ. სხვისი უფლებებისა და ინტერესებისადმი გულისხმიერების ვალდებულება შეიძლება გავიგოთ პოზიტიურად და ნეგატიურად. ნეგატიური თვალსაზრისით, იგი გულისხმობს უფლებებსა და ინტერესებში ჩაურევლობას, რაც უნივერსალური ვალდებულებაა¹³. პოზიტიური ვალდებულება კი გამოიხატება ზიანის გაუვნებელოფაში ე.ი. „სხვისი

¹¹ ბათლიძე გ. ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ზიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, 17

¹² იქვე, 17

¹³ იქვე, 18

უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე ისევე იზრუნოს, როგორც საკუთარის დაცვაზე იზრუნებდა“¹⁴.

ცივილისტიკაში ზიანი განიმარტება, როგორც ფიზიკური და იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის დამცირება-განადგურება, რომელიც წარმოიშობა ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით, ასევე, მაშინ, როდესაც მხარეები ზიანის მიყენებამდე არ იმყოფებოდნენ ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობებში¹⁵. ამდენად, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ზიანის ორი საფუძველი: სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო. დელიქტური ვალდებულების სუბიექტები არიან ზიანის მიმყენებელი (დელიქტუნარიანი პირი, რომელიც პასუხს აგებს ზიანისათვის) და დაზარალებული (მოთხოვნის უფლების მქონე პირი)¹⁶.

სკ-ის 992-ე მუხლი შეიცავს დელიქტის გენერალურ დათქმას, რომლის მიხედვითაც პირის ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული, უნდა დადგეს ზიანი და არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. მოცემულ ნორმაში არაა დაკონკრეტებული, რა სახის სამართლებრივი სიკეთეებია დაცული. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ნახსენები მუხლის შინაარსი განიმარტება ვიწროდ და იგი ვრცელდება მხოლოდ აბსოლუტურ უფლებებზე. თუ ამ განმარტებას დავეყრდნობით, „დელიქტური პასუხისმგებლობა არ უნდა დადგეს რელატიური უფლების დარღვევის ან წმინდა ეკონომიკური ზიანისთვის, რომელიც ცალსახად არააბსოლუტური ინტერესებია, მაშინაც კი, როდესაც თავად დამრღვევის ქმედება ატარებს მართლსაწინააღმდეგო ხასიათს“¹⁷.

¹⁴ იქვე, 18

¹⁵ მ.ბიჭია, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, 176

¹⁶ შდრ. იქვე, 176

¹⁷ შდრ. ბათლიძე გ, ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, 25

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც წმინდა ეკონომიკურ ზიანს მიუღებელ შემოსავალთან აიგივებენ¹⁸, რაც არასწორია. მართალია, ასეთი ზიანის ცნება უნივერსალურად დადგენილი არაა, თუმცა, შესაძლებელია გამოვყოთ მისი ნიშნები, რაც საშუალებას მოგვცემს დეფინიცია ჩამოვაყალიბოთ: 1) ზიანი უნდა იყოს ეკონომიკური ხასიათის; 2) არ უნდა არსებობდეს სხვა ისეთი აბსოლუტური უფლებების დარღვევა, როგორებიცაა სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება, ქონების დაზიანება. აღნიშნული უკუდათქმის პრინციპითაა ცნობილი¹⁹. ამდენად, წმინდა ეკონომიკური ზიანი ეს არის დანაკლისი, რომელიც არ უკავშირდება აბსოლუტური უფლებების დარღვევას. აღსანიშნავია, რომ ქართულ დელიქტურ სამართალში ზიანის ანაზღაურება არ არის დამოკიდებული კანონით წინასწარ განსაზღვრული სამართლებრივი სიკეთის, დაცული უფლების ან ინტერესის ხელყოფაზე²⁰. „სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით გამოწვეული ნებისმიერი სახის ზიანისათვის“²¹.

2.1. მართლსაწინააღმდეგო ქმედება

სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა მართლსაწინააღმდეგო ქცევის დეფინიციას. ასეთად უნდა მივიჩნიოთ პირის ქმედება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესებს და აკრძალვებს, საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობის ნორმებს ან საჯარო წესრიგს. სამართლის კონკრეტული ნორმის დარღვევა მართლწესრიგის მიერ დაცული ინტერესის, მატერიალური ან არამატერიალური ფასეულობის ხელყოფისაკენ უნდა იყოს მიმართული²². მართლსაწინააღმდეგო ქმედება შეიძლება გამოიხატოს უშაულოდ

¹⁸ შდრ. ი. სვანაძე, დელიქტური გენერალური დათქმა და პასუხისმგებლობა სუფთა სახის ქონებრივი ზიანისათვის, თბილისი, 2019, 37

¹⁹ შდრ. იქვე, 37

²⁰ ბათლიძე გ, ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, 26

²¹ იქვე, 26

²² სახელმწიფო სამართალი, გ. ჯუღელის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 684

ქმედებაში ან შედეგში. შესაბამისად, შესაძლოა, შედეგი არ იყოს მართლსაწინააღმდეგო, მაგრამ პირის მოქმედება თუ უმოქმედობა ჩაითვალოს ასეთად. აქვე უნდა აღინიშნოს, „ცალკე აღებული ქმედება არ გულისხმობს ზიანის ანაზღაურებას, როგორც ამ ქმედების ლოგიკურ შედეგს. ქმედების შესაბამისი ნეგატიური შედეგის არსებობა პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი წინაპირობაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელია ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის პირდაპირი კავშირის (მიზეზობრივი კავშირის) არსებობა“²³.

აღნიშნულთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ორი მოძღვრება - ქმედებისა და შედეგის მართლწინააღმდეგობის მოძღვრება. ამ უკანასკნელის მიხედვით, მართლწინააღმდეგობას განაპირობებს აბსოლუტური უფლების უშუალო დარღვევა²⁴. ანალოგიურად არის მოწესრიგებული ეს საკითხი გერმანულ სამართალში. „გერმანულ დოქტრინაში მართლწინააღმდეგობა ავტომატურად ნაგულისხმებია მხოლოდ სამართლით დაცული აბსოლუტური უფლების პირდაპირი შელახვისას“²⁵.

ქმედების მართლწინააღმდეგობის მოძღვრების თანახმად, ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, თუ დარღვეულია სოციალ-ადეკვატური ქცევის წესი²⁶. ასეთ დროს მართლწინააღმდეგობა, მიუხედავად დამდგარი ზიანისა, შედეგში არ ვლინდება. ერთი შეხედვით, თითქოს პირი არ არღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, თუმცა, ასეთ შემთხვევებში უნდა დადგინდეს იყო თუ არა იგი ვალდებული გამოეჩინა და დაეცვა ზრუნვისა და გულისხმიერების ვალდებულება. შესაბამისად, ამ მოძღვრების თანახმად, „ქმედების მართლწინააღმდეგობას განსაზღვრავს, თუ რამდენად იყო ზიანის მიმყენებელი ვალდებული, სამოქალაქო ბრუნვის თავისებურებების გათვალისწინებით, თავი შეეკავებინა გარკვეული მოქმედებისაგან ან

²³ იქვე, 687

²⁴ ბათლიძე გ, ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, 31, მითითება ნაშრომზე - Palandt/Sprau, BGB Kommentar, § 823, Rn. 25.

²⁵ შდრ. იქვე, 25, მითითება ნაშრომზე - Looschelders, Schuldrecht Besonderer Teil, §57, Rn. 1174.

²⁶ იქვე, 31

განეხორციელებინა გარკვეული ქმედება, რათა თავიდან აეცილებინა დამდგარი ზიანი“²⁷. აქვე უნდა შევნიშნოთ, მართლწინააღმდეგობა სამართალდარღვევის ობიექტური ნიშანია და მისი არსებობა არაა დამოკიდებული მოვალის ცნობიერების ხასიათზე ანუ აცნობიერებს თუ არა მოვალე თავისი ქმედების სამართლებრივ ხასიათს²⁸

გულისხმიერების ვალდებულებას სკ-ის 316-ე მუხლი ადგენს²⁹. იგი ვალდებულებითი სამართლის მომწესრიგებელ ნორმებთან არის მოცემული, თუმცა 326-ე მუხლი იძლევა მისი გამოყენების შესაძლებლობას არასახელსკრულებო ვალდებულებების მიმართაც. ადმენად, როდესაც მართლწინააღმდეგობა შედეგში არ გამოიხატება და იგი ავტომატურად არაა ნაგულისხმევი და დადასტურებული, უნდა შემოწმდეს, ხომ არ გამოიხატება უმართლობა პირის ქმედებაში.

ზემოაღნიშნული დაყოფას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე. მხარეები ვალდებული არიან წარმოადგინონ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცებულებები. რა გარემოებები უნდა დაამტკიცოს პროცესის მონაწილე მხარემ განისაზღვრება მტკიცების ტვირთის სწორი განაწილებით. ერთი მხრივ, მტკიცების ტვირთი დგინდება სამოქალაქო სამართალში მოქმედი პრეზუმფციებით, მეორე მხრივ, თავად მატერიალური ნორმების შინაარსით. სკ-ის 992-ე მუხლის, როგორც სიტყვასიტყვითი, ასევე, ფართო განმარტების შედეგად,³⁰ დგინდება, რომ დელიქტური ნორმებით შესაძლებელია არა მხოლოდ აბსოლუტური სიკეთეების ხელყოფის

²⁷ იქვე, 31

²⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ლ.ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2001, 463

²⁹ თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას

³⁰ მნიშვნელოვანია, რომ მოცემული ნორმა არ უნდა განვმარტოთ ვიწროდ, ვინაიდან თუ დავუშვებთ, ხსენებული მუხლით მხოლოდ აბსოლუტური უფლებებია დაცული, მაშინ პირის ქმედება, რომელსაც მოჰყვება ზიანი, არ მიიჩნევა მართლსაწინააღმდეგოდ და ზიანის დადგომის მიუხედავად პასუხისმგებელი სუბიექტი არ იარსებებს

შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, არამედ ისეთი ზიანისაც, როდესაც მისი მიყენება ხდება ზრუნვისა და გულისხმიერების ვალდებულების დარღვევით. როგორც ზემოთ აღინიშნა, მართლწინააღმდეგობის შედეგში გამოხატვით იმთავითვე ივარაუდება, რომ ქმედება ეწინააღმდეგება კანონის დანაწესებს და მასზე ვრცელდება პრეზუმფცია. ამიტომაც, ქმედება მიიჩნევა მართლსაწინააღმდეგოდ, ვიდრე საპირისპირო არ დამტკიცდება. საპირისპიროს მტკიცების ტვირთი კი ზიანის მიმყენებელს ეკისრება. ხოლო, საწინააღმდეგო შემთხვევის განხილვისას, კერძოდ, მართლწინააღმდეგობის ქმედებაში გამოხატვით ქმედების მართლწინააღმდეგობის მტკიცების ტვირთი უნდა დაეკისროს პირს, ვისაც ზიანი მიადგა.

2.2. ბრალი

ქმედების მართლწინააღმდეგობის დადგენის შემდეგ გასარკვევია ბრალის საკითხი. ბრალი ატარებს სუბიექტურ ხასიათს³¹. იგი „გულისხმობს პირის მიერ კონკრეტული ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტურ დამოკიდებულებას, რომელიც ობიექტური შეფასების საგანია. შესაბამისად, თუ სასამართლო დაადგენს, რომ პირი ბრალეულად მოქმედებდა, იგი ხაზს უსვამს პირის სუბიექტურ დამოკიდებულებას, თუმცა მისი შეფასება ემყარება გარკვეულ ობიექტურ კრიტერიუმებს და არ განისაზღვრება კონკრეტული პირის სუბიექტური საზომით“³². ამდენად, ბრალის განსაზღვრება შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ შემდეგნაირად: ქმედება ითვლება ბრალეულად, როდესაც პირს გაცნობიერებული აქვს და სურს ან არ სურს სხვისთვის ზიანის მიყენება, ის სამოქალაქო ბრუნვის მონაწილისათვის საჭირ გულმოდგინებისა და წინდახედულობის

³¹ ³¹ ი. სვანაძე, დელიქტური გენერალური დათქმა და პასუხისმგებლობა სუფთა სახის ქონებრივი ზიანისათვის, თბილისი, 2019, 31

³² სახელმწიფო საპროკურორის, გ. ჯუღელის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 678

გაუთვალისწინებლობით არღვევს კანონით თუ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას³³.

გამოიყოფა ბრალის ორი ფორმა - განზრახვა და გაუფრთხილებლობა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, შეიძლება იყოს უხეში ან მარტივი. როგორც წესი, დელიქტური პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის ბრალის ხარისხს დელიქტურ სამართალში, ბრალის ფორმას და მის სიმძიმეს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს³⁴. ანაზღაურებას ექვემდებარება როგორც განზრახვით მიყენებული ზიანი, ასევე უხეში და მსუბუქი გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანი.³⁵ თუ გაუფრთხილებლობის ხარისხს პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის გააჩნია მნიშვნელობა, ამაზე თავად სამართლებრივი ნორმები მიუთითებს.

გაუფრთხილებლობა ბრალის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სამოქალაქო სამართალში³⁶. გაუფრთხილებლობა გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი აუცილებელი წინდახედულობისა და ყურადღებიანობის უგულებელყოფას³⁷. როგორც ზემოთ აღინიშნა, მართლწინააღმდეგობის ქმედებაში გამოხატვა ზრუნვისა და გულისხმიერების ვალდებულების დარღვევაში ვლინდება. როგორც წესი, გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა, თავისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის გათვალისწინებით, ასოცირდება გაუფრთხილებლობის ბრალის სამართლებრივ ინსტიტუტთან³⁸. ამდენად, ბრალი შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც ნებაუნარიანი პირის მიერ კანონით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევა სხვა პირისათვის უარყოფითი შედეგის დადგომის გაცნობიერებით და

³³ ქოჩაშვილი ქ, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა, სამართლის ჟურნალი N1, 2009, 88-89

³⁴ ბათლიძე გ, ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, 33

³⁵ შდრ. იქვე, 33

³⁶ ძლიერიშვილი ზ, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012, 115

³⁷ იქვე, 115

³⁸ ბათლიძე გ, ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, 32

სურვილით, ან სურვილის გარეშე, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილისათვის საჭირო გულმოდგინებისა და წინდახედულების დაუცველად³⁹.

„რომის კლასიკური ეპოქიდან დღემდე სამოქალაქო სამართალში მოქმედებს უნივერსალური ფორმულა: თითოეული პასუხს აგებს მხოლოდ მისი ბრალით მიყენებული ზიანისათვის“⁴⁰. ამ ზოგადი დანაწესიდან გამონაკლისია სკ-ის 396-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, როდესაც პირი წარმომადგენლის ქმედებისათვის აგებს პასუხს, რაც განპირობებულია თავად წარმოდგენილი პირის მიერ თავისუფალი ნების გამოვლენით, თავად აირჩიოს მისი წარმომადგენელი.

როგორც იურიდიულ ლიტერატურაში, ასევე, სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებულია მოსაზრება დელიქტის ცალკეულ სახეებზე ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დადგენის თაობაზე. ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც პირი, მიუხედავად მისი ქმედებისა და ბრალისა, მაინც აგებს პასუხს დამდგარი ზიანისათვის. ასეთი შემთხვევები დელიქტურ სამართალში, ძირითადად, მომეტებული საფრთხის წყაროს საშუალებების ექსპლუატაციას უკავშირდება. ასეთია, მაგალითად, სკ-ის 999-ე მუხლი, რომელზედაც ავრცელებენ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას. ამ გამონაკლისს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი გამოყენება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების დადგომის შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას⁴¹.

„მიუხედავად იმისა, რომ მისი გამოყენება სამართლებრივად ნებადართულია, პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროდან მომდინარე ზიანისათვის, ჩვეულებრივი სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობასთან შედარებით უფრო მკაცრია ზიანის ანაზღაურების

³⁹ ქოჩაშვილი ქ, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), სამართლის ჟურნალი N1, 2009, 89

⁴⁰ იქვე, 83

⁴¹ ძლიერიშვილი ზ, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012, 117

ვალდებულება მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს ბრალის მიუხედავად ეკისრება⁴².

2.3. მიზეზობრივი კავშირი

მიზეზობრივი კავშირის დადგენა გადამწყვეტია პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის. ეს არის ის ბოლო ელემენტი, რომლის არსებობაც აუცილებელია დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომისათვის, კავშირი დამდგარ შედეგსა და ქმედებას შორის⁴³. პირის ქმედებას და დამდგარ ზიანს შორის უნდა არსებობდეს ლოგიკური ჯაჭვი, რომლის შესაბამისადაც, ქმედება წინ უსწრებს შედეგს და ეს უკანასკნელი უშაულოდ გამომდინარეობს ამ ქმედებიდან. ამდენად, ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ზიანის მიმყენებლის მოქმედება უსწრებს შედეგს დროში და თუ იგი მოგვევლინა პირდაპირ და აუცილებელ შედეგად პირის მოქმედებისა თუ უმოქმედობისა⁴⁴. ამდენად, იმისათვის, რომ მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს არის თუ არა ზიანი მოვალის ქმედების უშუალო შედეგი⁴⁵. „ეს წეი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც კრედიტორი თავადაც არის პასუხისმგებელი დამდგარი შედეგისათვის. ასეთი ზიანის რისკის შემთხვევაში კრედიტორსა და მოვალეზე პასუხისმგებლობა პროპორციულად გადანაწილდება“⁴⁶.

„მიზეზობრივი კავშირის პოვნა და მისი შეფასება მხოლოდ ორი ელემენტით ხდება. პირველი, რასაც ვამოწმებთ არის, უსწრებდა თუ არა პირის ქმედება დამდგარ შედეგს, ანუ - ზიანს. ამის დადასტურების შემთხვევაში ვამოწმებთ იმას, გამოიწვია თუ არა სწორედ ამ პირის ამ

⁴² იქვე, 117

⁴³ ი.სვანაძე, დელიქტური გენერალური დათქმა და პასუხისმგებლობა სუფთა სახის ქონებრივი ზიანისათვის, თბილისი, 2019, 35

⁴⁴ ჩიკვაშვილი შ., დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში. კრებული - სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები, თბილისი, 2003, 186

⁴⁵ ზ.ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, (მეორე გამოცემა), თბილისი, 1999, 68

⁴⁶ ზ.ძლიერიშვილი, ჩუქება და სამისდღემო რჩენა (თეორია და პრაქტიკა), თბილისი, 2018, 443

ქმედებამ ეს შედეგი⁴⁷. მიზეზობრივი კავშირი უნდა დადგინდეს ეკვივალენტურობის პრინციპის მიხედვით, რომლის თანახმად, ქმედება უნდა იყოს შედეგის ეკვივალენტური⁴⁸. ეს დათქმა ცნობილია როგორც ზიანის განჭვრეტადობის პრინციპი⁴⁹. ეკვივალენტურობის პრინციპის დანიშნულებაა, ყოველგვარი ნორმატიული შეფასების გარეშე, დაადგინოს მიზეზთა ჯაჭვისა და დამდგარი შედეგის ფაქტობრივი ურთიერთკავშირი⁵⁰. „მაშასადამე, ეკვივალენტურობის პრინციპი მიზეზობრივი კავშირის დადგენის საფუძველი და ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დადგენის აუცილებელი, მაგრამ, ამავედროულად, არასაკმარისი წინაპირობაა. ეკვივალენტურობის პრინციპის საფუძველზე მიზეზობრივი კავშირის დადგენისას ყველა მიზეზი, მათი ხარისხის და გამომწვევი ფაქტორების და სამართლებრივი რელევანტობის მიუხედავად, თაბარი მნიშვნელობისაა“⁵¹. განჭვრეტადობის პრინციპს ადგენს სკ-ის 412-ე მუხლი, რომლის თანახმადაც ანაზღაურებას ექვემდებარება მოვალისათვის სავარაუდო ნიშანი. სავარაუდოება სახეზეა, თუ შედეგის დაშვება შეგნებული მოვალის პერსპექტივიდან ობიექტურად შესაძლებელი იყო⁵². თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, მოვალისათვის სავარაუდო არ ნიშნავს, რომ ზიანი უნდა იყოს კონკრეტული მოვალისთვის სავარაუდო⁵³. განჭვრეტადობის დასადგენად უნდა გამოვიყენოთ საშუალოდ გონივრულად მოაზროვნე ადამიანის შესაძლებლობები. ამდენად, ზიანის სავარაუდოობა ეფუძნება არა სუბიექტურობას, არამედ ობიექტურ კრიტერიუმებს. ამავედროულად, გასათვალისწინებელია კონკრეტული პირის სპეციალური ცოდნაც. თუ ზიანის მიმყენებლის სუბიექტური განჭვრეტადობის უნარი აღემატება

⁴⁷ ი. სვანაძე, დელიქტური გენერალური დათქმა და პასუხისმგებლობა სუფთა სახის ქონებრივი ზიანისათვის, თბილისი, 2019, 36

⁴⁸ ბათლიძე გ, ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, 35

⁴⁹ იქვე, 36

⁵⁰ იქვე, 36

⁵¹ იქვე, 36

⁵² ბილინგი/ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009, 48

⁵³ ბათლიძე გ, ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, 36

ჩვეულებრივი გონიერი ადამიანის განჭვრეტადობის მასშტაბს, მიზეზობრივი კავშირის არსებობა არ უნდა გამოირიცხოს მხოლოდ ობიექტური სტანდარტით.⁵⁴ ამასთან, კონკრეტული შედეგის განჭვრეტა აუცილებელი არ არის. საკმარისია, თუ ზიანის ზოგადი ბუნების განჭვრეტა შესაძლებელი⁵⁵.

„პრაქტიკასთან ყველაზე ახლოს მდგომი პირდაპირი და არაპირდაპირი მიზეზობრივი კავშირის თეორიის მიხედვით, მიზეზობრივი კავშირი ობიექტური ხასიათისაა, ვინაიდან ადამიანის ცნობიერებისა და ნებისაგან დამოუკიდებლად არსებობს⁵⁶. გასათვალისწინებელია, თუ მოქმედებასა და ხელყოფას შორის კავშირი მხოლოდ არაარსებითია და ზიანი გამოწვეულია სხვა მიზეზებით, ქონებრივი პასუხისმგებლობა არ დადგება⁵⁷.

მიზეზობრივი კავშირის დასადგენად პრაქტიკაში, ძირითადად, ორი თეორია გამოიყენება. ეკვივალენტურობის და ადეკვატურობის. პირველის მიხედვით, ზიანის ფაქტის დადგომაში მოვლენის ყველა პირობა თანაბარმნიშვნელოვნად მოქმედებს. პრაქტიკული თვალსაზრისით, მეტად რთულია ზუსტად დადგინდეს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირი, რაც შეუძლებელს ხდის დაზარალებული პირის უფლებებისა და ინტერესების დაცვას ზიანის ანაზღაურების შეუძლებლობის გამო. რაც შეეხება ადეკვატურობის თეორიას, იგი საკმარისად ერთ პირობასაც კი მიიჩნევს, როდესაც იქმნება შედეგის დადგომის ობიექტური შესაძლებლობა⁵⁸.

⁵⁴ იქვე, 36

⁵⁵ იქვე, 37

⁵⁶ მ.ბიჭია, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, 220

⁵⁷ შდრ. რ. შენგელია, ქონებრივი ზიანი და მისი ანაზღაურების ვალდებულება, თბილისი, 1991, 5

⁵⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ლ.ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2001, 369

3. სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების ზოგადი დახასიათება

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების საკითხებს არეგულირებს სკ-ის 999-ე მუხლი, რომელიც პასუხისმგებლობას აკისრებს მის მფლობელს. მოცემული ნორმა პირდაპირ მიუთითებს ნეგატიურ შედეგებზე, რაც შეიძლება ექსპლუატაციას მოჰყვეს - გარდაცვალება, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ნივთის დაზიანება. იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ ხსენებული მუხლი ზოგადი პასუხისმგებლობისაგან განსხვავებულ წესს ითვალისწინებს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის სახით⁵⁹. ეს უკანასკნელი კი განპირობებულია მომეტებული საფრთხის წყაროსგან ზიანის დადგომის მაღალი ალბათობით⁶⁰. მომეტებული საფრთხის წყაროს ცნებაში მოიაზრება სამი ასპექტი - საქმიანობა, ნივთები, საგნის თვისებები - , რომელთა ერთობლიობა ქმნის მომეტებულ საფრთხეს⁶¹. მომეტებული საფრთხის წყაროდ შეფასებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება კონტროლს. პირი მოკლებული უნდა იყოს შესაძლებლობას განახორციელოს სრული კონტროლი. სატრანსპორტო საშუალება უდავოდ მომეტებული საფრთხის წყაროა, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, გარკვეული წესების დაცვით (საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი ნორმების დაცვა, სატრანსპორტო საშუალების ტექდათვალიერება მისი მუდმივად გამართულობის მიზნით) ეს საფრთხე მცირდება და მინიმუმამდე დადის. სატრანსპორტო საშუალების მფლობელს პასუხისმგებლობა ყველა შემთხვევაში არ ეკისრება. 999-ე მუხლი განსაზღვრავს გარემოებებს, რომელთა არსებობის დროს მფლობელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. ერთ-ერთი ასეთია დაუძლეველი ძალა. იგი დაახლოებით ფრანგულ სამართალში მოქმედი ფორსმაჟორის ანალოგიურია და მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის

⁵⁹ შდრ. მ. ბიჭია, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, 305-306

⁶⁰ იქვე, 306

⁶¹ იქვე, 305

სხვადასხვა სახეში სხვადასხვაგვარად არის გამოხატული⁶². „დაუძლეველი ძალაში იგულისხმება, რომ, მიუხედავად ავტომანქანის გულისყურით მართვისა, ზიანის თავიდან აცილება ვერ ხერხდება“⁶³.

პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველია, ასევე, სატრანსპორტო საშუალების გამოყენება მისი მფლობელის ნებართვის გარეშე. ასეთი შემთხვევაა მაგალითად, ქურდობა ან შვილის მიერ მშობლის ავტომანქანის გამოყენება. მნიშვნელობა არ აქვს პირის სუბიექტურ დამოკიდებულებას, ვარაუდობდა, თუ არა იგი ნებართვის არსებობას. გადამწყვეტია ობიექტური გარემოება, ფაქტი ასეთი ნებართვის არარსებობის შესახებ.

3.1 მფლობელობის ინსტიტუტი

ქართული სამართალი მფლობელობის ცნების განმარტებას არ იძლევა. სკ-ის 155-ე მუხლში საუბარია მფლობელობის წარმოშობის და არსებობის წინაპირობებზე⁶⁴. მოცემული ნორმის მიხედვით, „მფლობელობის წარმოსაშობად აუცილებელია ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვება“. „კანონმდებელი განასხვავებს მფლობელობას როგორც საკუთრების უფლების შინაარსის ერთ-ერთ ელემენტს და მფლობელობას როგორც დამოუკიდებელ ინსტიტუტს“⁶⁵.

მფლობელობაი ჯერ კიდევ რომაელმა იურისტებმა გამოყვეს ორი ელემენტი: მატერიალური ანუ ობიექტური - corpus და ნებითი ანუ სუბიექტური - animus, სადაც ეს ორი ელემენტი არ არსებობს აშკარად ან ნაგულისხმევად, იქ არც მფლობელობაა⁶⁶. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იზიარებს მფლობელობის ორელემენტთან კონსტრუქციას.

⁶² წულაძე მ, მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველები, სამართლის ჟურნალი N1, 2015, 274

⁶³ ძლიერიშვილი ზ, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012, 118

⁶⁴ ზ. ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), მეოთხე გამომუშავებული გამოცემა, თბილისი, 2016, 73

⁶⁵ იქვე, 71

⁶⁶ ქოჩაშვილი ქ, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა, სამართლის ჟურნალი N1, 2009, 22

მფლობელობის წარმოშობის ძირითად წინაპირობასთან ერთად ნივთზე ფაქტობრივი ბატონობა, კანონი ითხოვს პირის მიერ ნივთის ფლობის ნებას⁶⁷. თუმცა, ნებითი ელემენტი არ დაიყვანება მხოლოდ ნივთის ფლობის გაცნობიერებამდე⁶⁸. „ნორმათა ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტური ელემენტი - animus-ი არ ასრულებს გადამწყვეტ როლს მფლობელობის კონსტრუქციაში, მისი როლი და მნიშვნელობა მინიმალურია“⁶⁹. ამასთან, სამოქალაქო კოდექსი სუბიექტურ ელემენტს - საკუთარი ინტერესისათვის ფლობას ფართოდ მოიაზრებს და მფლობელის გვერდით მიიჩნევს იმ პირებს, ვინც ფლობს მესაკუთრესთან შეთანხმებით სანივთო ან ვალდებულებითი უფლების საფუძველზე⁷⁰. ამ მიდგომით იქმნება ორმაგი მფლობელობის დაფუძნების შესაძლებლობა პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელობის სახით⁷¹.

მფლობელისაგან უნდა განვასხვავოთ პირი, რომელიც, მართალია, ნივთზე ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას, თუმცა სხვის სასარგებლოდ. იგი მიიჩნევა არა მფლობელად, არამედ მჭერად, მპყრობელად. მთავარ განმასხვავებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ სხვა პირის მითითებების შესრულება. აქვე უნდა ითქვას, რომ სკ-ის 155-ე მუხლი „გერმანული ენიდან ხარვეზიანი თარგმანის შედეგია. იგი აღარ უთითებს მპყრობელის ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობაზე: სხვა პირის მიერ მიცემული მითითებების შესაბამისად მოქმედება“⁷².

3.2. სატრანსპორტო საშუალების მფლობელი

⁶⁷ ზ. ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), მეოთხე გამომუშავებული გამოცემა, თბილისი, 2016, 73

⁶⁸ ქოჩაშვილი ქ, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა, სამართლის ჟურნალი N1, 2009, 22

⁶⁹ ზ. ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), მეოთხე გამომუშავებული გამოცემა, თბილისი, 2016, 73

⁷⁰ ქოჩაშვილი ქ, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა, სამართლის ჟურნალი N1, 2009, 22

⁷¹ იქვე, 22

⁷² ზ. ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), მეოთხე გამომუშავებული გამოცემა, თბილისი, 2016, 89

ვიდრე უშუალოდ სატრანსპორტო საშუალების მფლობელზე დავიწყებთ საუბარს, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ მისი ცნება და ნიშნები. საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 73-ე პუნქტის თანახმად, სატრანსპორტო საშუალება არის გზაზე მოძრავი ან გზაზე მოძრაობისათვის განკუთვნილი მოწყობილობა, რომელიც ძრავას ან სხვა ძალის მეშვეობით გადაადგილდება. შეგვიძლია გამოვყოთ სატრანსპორტო საშუალების ნიშნები: 1) განკუთვნილი უნდა იყოს გზაზე მოძრაობისათვის⁷³; 2) გადაადგილება უნდა ხდებოდეს რაიმე ძალის გამოყენებით. სკ-ის 999-ე მუხლით ნახსენები სატრანსპორტო საშუალების დადგენისათვის ორიენტირად უნდა ავიღოთ თავად მისი დანიშნულება, კერძოდ, იგი გათვალისწინებული უნდა იყოს მგზავრთა გადაყვანის ან ტვირთების გადასაზიდად. ამდენად, მოცემული მუხლის შინაარსი უნდა გავრცელდეს არა ყოველ სატრანსპორტო საშუალებაზე, არამედ ისეთებზე, რომელთა დანიშნულებაა ტვირთების გადაზიდვა ან მგზავრების გადაყვანა. „სატრანსპორტო საშუალების მფლობელის დადგენის ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში, დავის სწორად გადაწყვეტა და სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება დამოკიდებულია სწორედ იმაზე, თუ ვინ მიიჩნევა სატრანსპორტო საშუალების მფლობელად“⁷⁴. სატრანსპორტო საშუალების მფლობელი შეიძლება იყოს როგორც, ფიზიკური, ისე იურიდიული პირი⁷⁵.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართული სამართალი, გერმანულის მსგავსად, იზიარებს ორმაგი მფლობელობის ინსტიტუტს. მესაკუთრე სხვა პირისათვის ფაქტობრივი ბატონობის გადაცემით არ კარგავს ქონებაზე მფლობელობას. იგი რჩება არაპირდაპირ მფლობელად. სკ-ის 999-ე მუხლი საუბრობს სატრანსპორტო საშუალების მფლობელზე და არ აკონკრეტებს რომელი სახის მფლობელობა უნდა მოვიაზროთ მასში. თუმცა, ერთი რამ

⁷³ არ აქვს მნიშვნელობა გადაადგილდება თუ არა იგი, მთავარია მისი შექმნის მიზანი

⁷⁴ თ. ტარტარაშვილი, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, თბილისი, 2019, 39

⁷⁵ მ. ბიჭია, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, 306

უდავოა. მფლობელი უნდა განვასხვავოთ მჭერისაგან. ამ უკანასკნელს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა 999-ე მუხლის საფუძველზე, ვინაიდან ის მფლობელის მითითებებს ასრულებს, არაა გათანაბრებული მფლობელის უფლებრივ მდგომარეობასთან და არ შეუძლია დაიცვას თავი მფლობელობითი სარჩელების წარდგენით. ერთადერთი უფლება, რაც მპყრობელს ფაქტობრივი ბატონობის დასაცავად გააჩნია ესაა სხვა პირების თვითნებობის აღკვეთა. ამდენად, 999-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება მპყრობელს.

მოცემულ ნორმასთან დაკავშირებით სასამართლოს პრაქტიკა არაერთგვაროვანია. ზოგიერთ საქმეზე მფლობელად მოიაზრებენ არაპირდაპირ მფლობელს, მაშასადამე მესაკუთრეს, ხოლო სხვა შემთხვევებში პასუხისმგებლობას პირდაპირ მფლობელზე ავრცელებენ. ვერ გავიზიარებთ შეხედულებას 999-ე მუხლში თითქოსდა არაპირდაპირი მფლობელი იგულისხმებოდეს. პირველ რიგში, თავად სამოქალაქო კოდექსის სისტემური ანალიზის მიხედვით დგინდება, რომ კანონმდებელი მესაკუთრეს არსად მოიხსენიებს არაპირდაპირ მფლობელად. იქ, სადაც მესაკუთრე შემოყავს სამართლებრივ ურთიერთობაში პირდაპირ, მოურიდებლადაა ნახსენები იგი. ასევე, გასათვალისწინებელია ნორმის მიზანი, რაც სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მკაცრ პასუხისმგებლობაში⁷⁶ გამოიხატება. მფლობელი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან თავისუფლდება მხოლოდ ფორსმაჟორის დროს. ამდენად, 999-ე მუხლის მიზანი არაა დელიქტურ ურთიერთობაში სხვა მესამე პირის შემოყვანა, რათა ზიანის ანაზღაურება უზრუნველყოფილი იყოს, არამედ, სატრანსპორტო საშუალების მფლობელმა ზედმიწევნით უნდა დაიცვას წესები, რომელზეც დადგენილია ექსპლუატაციისათვის. შეიძლება ითქვას, ამით პრევენციული ფუნქციაც ხორციელდება.

⁷⁶ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სამართალში მოქმედი strict liability პრინციპი გაიგივებულია ბრალის გარეშე პასუხისმგებლობასთან, რაც არასწორია. მკაცრი პასუხისმგებლობა გულისხმობს პასუხისმგებლობის დაკისრებას ყველა შემთხვევაში, გარდა ფორსმაჟორისა.

3.3. ზიანის ანაზღაურების გამომრიცხველი გარემოებები

სატრანსპორტო საშუალებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება სკ-ის 999-ე მუხლის შესაბამისად გამომრიცხება როდესაც: 1) ზიანდება გადასაზიდი ტვირთი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს ტვირთი მგზავრს თან მიაქვს; 2) ზიანდება სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ შესანახად მიღებული ნივთი. პასუხისმგებლობა გამომრიცხება, ასევე, დაუძლეველი ძალის არსებობის შემთხვევაში. იგი დაახლოებით ფრანგულ სამართალში მოქმედი ფორსმაჟორის ანალოგიურია და მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის სხვადასხვა სახეში სხვადასხვაგვარად არის გამოხატული⁷⁷. ზუსტი დეფინიციის არარსებობა გამომრიცხავს მოვლენათა numerus clausus-ს პრიციპით დაუძლეველ ძალად კვალიფიცირების შესაძლებლობას⁷⁸.

დაუძლეველ ძალაში უნდა მოვიაზროთ ისეთი გარემოებები, როდესაც მიუხედავად, საგზაო მოძრაობის წესების ზედმიწევნით დაცვისა, გარეშე ფაქტორების ზემოქმედებით (რომელზეც კონტროლის განხორციელება შეუძლებელია) ზიანის თავიდან აცილება ვერ ხერხდება⁷⁹.

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის დაკისრებისას უნდა გამომრიცხოს დაზარალებულის ბრალიც⁸⁰. შერეულ ბრალს ეხება სკ-ის 415-ე მუხლი. გასარკვევია საკითხი, „ენიჭება თუ არა დაზარალებულის ბრალს რაიმე მნიშვნელობა ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას?“⁸¹ ასეთ დროს განმსაზღვრელია, რომ ზიანის მიყენება უნდა იყოს სატრანსპორტო ექსპლუატაციის შედეგი⁸².

პასუხისმგებლობის კიდევ ერთ გამომრიცხავ გარემოებას წარმოადგენს პირის მიერ სატრანსპორტო საშუალების მფლობელის ნებართვის გარეშე

⁷⁷ წულაძე მ, მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლები, სამართლის ჟურნალი N1, 2015, 274

⁷⁸ თ. ტარტარაშვილი, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, თბილისი, 2019, 54

⁷⁹ შდრ. იქვე, 55

⁸⁰ ძლიერიშვილი ზ, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012, 118

⁸¹ მ. ბიჭია, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, 316

⁸² იქვე, 317

გამოყენება⁸³. ნივთის მფლობელობიდან გასვლა უნდა მოხდეს ნებართვისა და ბრალის გარეშე⁸⁴.

„საგულისხმოა, რომ მომეტებული საფრთხის წყაროს ფაქტობრივი გადაცემა იმ პირისათვის, რომელიც არამართლზომიერად ფლობს მას, ყოველთვის არ გამორიცხავს კანონიერი მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობას მიყენებული ზიანისთვის. თუ კანონიერ მფლობელს მიუძღვის ბრალი იმაში, რომ მისი მფლობელობიდან გავიდა მანქანა, მაშინ პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისთვის შეიძლება დაეკისროს, როგორც პირს, რომელიც მომეტებული საფრთხის წყაროს იყენებს, ისე მის მფლობელს კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით“⁸⁵.

⁸³ თ. ტარტარაშვილი, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, თბილისი, 2019, 56

⁸⁴ მ. ბიჭია, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, 310

⁸⁵ იქვე, 311

4. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში

დელიქტურ სამართალში, ზოგადი დათქმით, მოქმედებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, რაც გულისხმობს პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ბრალეული ქმედების გამო. ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი განიხილება ფუნდამენტურ პრინციპად, რომლის მიხედვითაც, პირს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა თუ ზიანის დადგომაში ბრალი არ მიუძღვის⁸⁶. ბრალში მოიაზრება, როგორც განზრახვა, ასევე, გაუფრთხილებლობა. სამოქალაქო სამართალი ძირითადად იყენებს განზრახვის იმ ცნებას, რასაც სისხლის სამართალი ადგენს, რაც შეეხება გაუფრთხილებლობის ცნებას, სამოქალაქო სამართალს მასში კორექტივები შეაქვს⁸⁷. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს მარტივი ან უხეში. ბრალის დოქტრინისეული ცნებიდან იკვეთება, რომ ის მოიცავს მართლწინააღმდეგობას და მის შეცნობას⁸⁸. პირს, რომელიც ახორციელებს მართლსაწინააღმდეგო, ზიანის გამომწვევ ქმედებას, გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს მისი უმართლობა. მართლწინააღმდეგობის შეცნობა ხშირად გამოიხატება გაუფრთხილებლობაში. მართალია, სამოქალაქო კოდექსში არაა მოცემული გაუფრთხილებლობის დეფინიცია, თუმცა დოქტრინაში იგი განიმარტება, როგორც წინდახედულობისა და გონივრულობის მოთხოვნების დარღვევა. კანონმდებელი ზოგიერთ შემთხვევაში მარტივი გაუფრთხილებლობისათვის გამორიცხავს პირის პასუხისმგებლობას და მას ავრცელებს მხოლოდ უხეშ გაუფრთხილებლობაზე. აღნიშნულის თაობაზე კანონის ნორმა პირდაპირ უნდა უთითებდეს. აქვე, აღსანიშნავია, „სამოქალაქო სამართალში, სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, სადაც ბრალის ფორმაზეა დამოკიდებული პასუხისმგებლობის შინაარსი, ბრალის ფორმებს შორის განსხვავებას იშვიათად აქვს სამართლებრივი მნიშვნელობა, პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის საკმარისია

⁸⁶ S. Shavell, LIABILITY FOR ACCIDENTS, 2007, 161

⁸⁷ ქოჩაშვილი ქ, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა, სამართლის ჟურნალი N1, 2009, 90

⁸⁸ იქვე, 88

სამართალდამრღვევის ბრალის ნებისმიერი ფორმის არსებობა⁸⁹. ბრალეულ პასუხისმგებლობას საფუძვლად უდევს სამართლიანობის პრინციპი. ზიანის მიმყენებელმა ყოველთვის უნდა აგოს პასუხი არასწორი, სამართლებრივად გასაკიცხი ქმედების გამო.

იურიდიულ ლიტერატურაში, ასევე, სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ სამოქალაქო კოდექსი ზოგადი დათქმიდან, გამონაკლისის სახით, ითვალისწინებს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შესაძლებლობასაც⁹⁰. მას ავრცელებენ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ზიანი დგება მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენების შედეგად. ასეთად კი ითვლება ადამიანის სრულ კონტროლს მოკლებული საგნები. მომეტებული საფრთხის წყარო საკუთარ თავში შეიცავს პოტენციურ საშიშროებას, მაღალ რისკს, რომლის რეალიზება მნიშვნელოვნად არაა დამოკიდებული გამოყენების წესების დაცვასა თუ ყურადღებიანობის, გულისხმიერების დაცვაზე. ამდენად, მომეტებული საფრთხის წყაროდ ჩაითვლება ისეთი ნივთის გამოყენება/ექსპლუატაცია, რომელიც თავისთავად საფრთხის შემცველია და მასზე ადამიანი სრული კონტროლის განხორციელებას მოკლებულია. ასეთად უნდა ჩაითვალოს სატრანსპორტო საშუალებაც. მისი გამოყენება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების დადგომის შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას⁹¹.

როგორც უკვე ითქვა, დელიქტურ სამართალში გამონაკლის შემთხვევებში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის გავრცელებას ბევრი მეცნიერი ემხრობა. განსახილველი საკითხი პრობლემური და აქტუალურია იმდენად, რამდენადაც მსგავსი პასუხისმგებლობის გამოყენება უსამართლობის განცდას იწვევს, ასევე, გვრჩება შთაბეჭდილება, რომ კანონმდებელი ერთგვარ ჯალათად გვევლინება და მხოლოდ დასჯის მიზანი ამოძრავებს. ქეშმარიტების დასადგენად აუცილებელია, განისაზღვროს, რა

⁸⁹ იქვე, 91

⁹⁰ ძლიერიშვილი ზ, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012, 117

⁹¹ იქვე, 117

იგულისხმება ბრალის გარეშე პასუხისმგებლობაში; მასში უნდა მოვიაზროთ ქმედების გარეშე პირისათვის ვალდებულების დაკისრება, თუ იგი მკაცრი პასუხისმგებლობაა იმ გაგებით, რომ კანონმდებლობა მომეტებული საფრთხის წყაროს გამომყენებელი პირისაგან უფრო მეტად ითხოვს წინდახედულობისა და გულისხმიერების ვალდებულებას?

„ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, რომელსაც საქმიანობის თეორიას უწოდებენ, მომეტებულ საფრთხედ განიხილება ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც გარშემომყოფთათვის საფრთხეს წარმოშობს. არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომელიც ნივთების შესახებ თეორიის სახელითაა ცნობილი და რომლის მიხედვითაც, მომეტებული საფრთხის წყაროს წარმოადგენს ისეთი ნივთები, რომლებიც ადამიანის კონტროლსაა მოკლებული. გარდა ამისა, ცალკე გამოყოფენ საგნის თვისებების შესახებ თეორიას, რომლითაც მომეტებული საფრთხის წყაროდ განიხილება საგანი თავისი განსაკუთრებული თვისებებითურთ“⁹².

დელიქტური სამართლის, ისევე როგორც სხვა დანარჩენი, ნორმები გარკვეული მიზნების მიღწევას ემსახურება. კანონმდებელი შესაბამისი გარემოებების არსებობისას მიზანშეწონილად მიიჩნევს მის დასარაგულირებლად სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბებას, რომლის შინაარსშიც ჩვენ უნდა ამოვიცნოთ, რისი მიღწევა სურდა ნორმის შემქმნელს. დელიქტური სამართლის მიზანი არის, ერთი მხრივ, მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება, მეორე მხრივ, დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურების გარანტიების შექმნა. ასევე, სამომავლოდ მსგავსი უმართლო ქმედების პრევენცია, თავიდან აცილება.

სკ-ის 999-ე მუხლი წარმოადგენს ზოგადი წესიდან გამონაკლისს. ზოგადი წესის მიხედვით, პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანის გამო ზიანის

⁹² თ. ტარტარაშვილი, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, თბილისი, 2019, 37

მიმყენებელს ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მოქმედება არის ბრალეული⁹³.

„ამ გამონაკლისს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი გამოყენება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების დადგომის შესაძლებლობას, ვიდრე სხვა ჩვეულებრივი საქმიანობისას. ავტოსატრანსპორტო საშუალების ამგვარი თვისების გამო იგი მომეტებული საფრთხის წყაროდაა მიჩნეული და, მიუხედავად იმისა, რომ მისი გამოყენება სამართლებრივად ნებადართულია, პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროდან მომდინარე ზიანისათვის, ჩვეულებრივი სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობასთან შედარებით უფრო მკაცრია – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს ბრალის მიუხედავად ეკისრება“⁹⁴. აქვე უნდა აღინიშნოს, ზიანის დადგომა განპირობებული უნდა იყოს უშუალოს მომეტებული საფრთხის წყაროს ექსპლუატაციით, მისი თვისებიდან გამომდინარე⁹⁵.

4.1. შერეული ბრალი

სამოქალაქო სამართლის სუბიექტმა ყოველთვის უნდა აგოს პასუხი მის მიერ მიყენებული ზიანისათვის. ეს არის ზოგადი დანაწესი, რომლის მიხედვითაც, პირი ვერ გაექცევა პასუხისმგებლობას. თუმცა, სამოქალაქო კოდექსი იცნობს შერეული ბრალის ცნებას. სკ-ის 415 მუხლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ბრალი შეიძლება გამოიხატოს, როგორც მოქმედებაში, ისე, უმოქმედობაში.

⁹³ ლუთერინგჰაუსი, პ. დელიქტური სამართალი, GIZ, თბილისი, 2011, 32

⁹⁴ ძლიერიშვილი ზ, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012, 117

⁹⁵ შდრ. იქვე, 117-118

„შერეული ბრალის არსებობისას სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა გულისხმობს არა ზიანის ანაზღაურებას დაზარალებულის მიერ, არამედ, ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის შემცირებას და ზიანის შესაბამისი ნაწილის დაზარალებულზე დაკისრებას. ამ ვითარებაში არსებული ზიანი მოვალისა და დაზარალებულის ერთობლივი მოქმედების განუყოფელი შედეგია“⁹⁶.

მოცემული ნორმის დელიქტურ ვალდებულებებში გამოყენება დასაშვებია, როდესაც ადგილი აქვს „დაზარალებულისა და ზიანის მიმყენებლის ერთობლივ ბრალს, რამდენადაც კანონის აღნიშნული ნორმა ისეთ ვითარებას აწესრიგებს, როდესაც ორივე მათგანი, ზიანის მიმყენებელიც და დაზარალებულიც, ბრალეულად მოქმედებენ“⁹⁷. საკითხი კიდევ უფრო მწვავედება, როდესაც დაზარალებულის ბრალეულ ქმედება იწვევს ზიანის დადგომას.

მაგალითად, ავტოსატრანსპორტო საშუალება დაეჯახა პირს, რომელიც ცდილობდა გზის გადაკვეთას იმ ადგილას, სადაც ქვეითი მოსიარულის გადასვლა დაშვებული არ იყო. მსგავს შემთხვევებში სატრანსპორტო საშუალების მფლობელი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდება მხოლოდ სკ-ის 999.3-ე მუხლით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას. მოცემულ ნორმაში საუბარია დაუძლეველ ძალაზე, მაშასადამე, ისეთ ვითარებაზე, როდესაც მძღოლს არანაირი ძალისხმევით არ შეეძლო თავიდან აეცილებინა ავტოსაგზაო შემთხვევა. დაუძლეველი ძალა კი, პრაქტიკის გათვალისწინებით, ექსპერტიზის დასკვნით უნდა დადასტურდეს. მსგავს შემთხვევებში უნდა გადაწყდეს თანაბრალეულობის საკითხი. პირს, მიუხედავად იმისა, რომ არ არღვევს საგზაო მოძრაობის წესებს, უნდა დაეკისროს თუ არა პასუხისმგებლობა? პასუხისმგებლობა უნდა გაინაწილოს თუ არა ქვეითმა? შესაძლებელია თუ არა მძღოლის გათავისუფლება პასუხისმგებლობისაგან?

⁹⁶ ზ.ძლიერიშვილი, ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა (თეორია და პრაქტიკა), თბილისი, 2018, 452

⁹⁷ წულაძე მ, მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლები, სამართლის ჟურნალი N1, 2015, 277

საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, იგი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძვლებს. მისი მოქმედება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეზე, აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქესა და მოქალაქეობის არმქონე პირზე, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე მონაწილეობენ საგზაო მოძრაობაში, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო მოძრაობაში მყოფ სატრანსპორტო საშუალებაზე, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამავ მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს ისეთ გარემოებებს, რაც არ ჩაითვლება საგზაო მოძრაობად. ქვეითი საგზაო მოძრაობის მონაწილედ ითვლება. ამდენად, მასზე ვრცელდება ამ კანონის დანაწესები. იგი უნდა დაემორჩილოს ქვეითებისათვის განკუთვნილ მოთხოვნებს, კერძოდ, ისარგებლოს მათთვის განკუთვნილი გადასასვლელებით, იქნება ეს მიწისზედა თუ მიწისქვეშით, დაემორჩილოს ქვეითთა შუქნიშნის მოთხოვნებს. საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი შეიცავს საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს, რომლის დაცვაც ეკისრებათ ფეხით მოსიარულეებს.

ზემოთ მოყვანილი შემთხვევაში, სწორედ ქვეითმა დაარღვია საგზაო მოძრაობის წესები. პირველ კითხვაზე პასუხი ცალსახად უარყოფითი იქნება. მძღოლს არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე. მართალია, სატრანსპორტო საშუალება ვადიარეთ როგორც მომეტებული საფრთხის წყარო, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ საგზაო მოძრაობის წესების დაცვის, ასევე, ტრანსპორტის გამართულობის შემთხვევაში, ეს საფრთხე მინიმუმამდე დადის და მხოლოდ გადაადგილების კომფორტულ საშუალებად იქცევა. მხედველობაშია მისაღები ფეხით მოსიარულის მიერ წესების უგულებელყოფა, მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედება, რაც გამოიხატება შედეგში. ამდენად, სატრანსპორტო საშუალების მძღოლს, ასეთ დროს, არათუ პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ბრალის გარეშე, არამედ

საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილის მიერ წესების დარღვევა მისი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს.

4.2. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველები

სამოქალაქო კოდექსის 999.3-ე მუხლი მიუთითებს ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან გათავისუფლებაზე დაუძლეველი ძალის შემთხვევაში. კანონმდებელი არ იძლევა დაუძლეველი ძალის დეფინიციას და ბუნდოვანია რა უნდა მოვიაზროთ მასში.

„დაუძლეველი ძალა ქართულ სამართალში ზედმიწევნით ზუსტად ვერ ასახავს პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების იმ საფუძველს, რომელსაც აღნიშნულ ცნებაში მოიაზრებენ“⁹⁸.

„ქართულ სასამართლო პრაქტიკაში დაუძლეველი ძალა განმარტებულია ისეთი სახის დაბრკოლებად, რომელიც არ შედიოდა მომეტებული საფრთხის წყაროს (კონკრეტულ შემთხვევაში, ტრანსპორტის) მფლობელის კონტროლის სფეროში და მას გონივრულად არ შეეძლო არც მისი წინასწარ გათვალისწინება და არც დაბრკოლების ან მისი შედეგების თავიდან აცილება, ან დაძლევა. აქედან ჩანს, რომ დაუძლეველი ძალის ცნება აქ აერთიანებს მოვლენის ორგვარ თვისებას: დაუძლეველობას და გაუთვალისწინებლობას, კერძოდ, იმისათვის, რომ მოვლენამ მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება გამოიწვიოს, იგი უნდა იყოს, ერთი მხრივ, დაუძლეველი და, მეორე მხრივ, მისთვის გაუთვალისწინებელი“⁹⁹.

სკ-ის 999-ე მუხლში მითითებული დაუძლეველი ძალა სიტყვასიტყვითი განმარტებით, ზუსტად ვერ გადმოსცემს და ვერ აღწერს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სურდა კანონმდებელს. საკითხავია, უფრო მართებული იქნებოდა თუ არა დაუძლეველი ძალის ნაცვლად, ტერმინ - ფორსმაჟორის გამოყენება.

⁹⁸ იქვე, 275

⁹⁹ იქვე, 275

უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში ფორსმაჟორი განმარტება, როგორც გარეშე, გაუთვალისწინებელი და დაუძლეველი ძალისგან წარმოშობილი გარემოება¹⁰⁰. „იგი გულისხმობს გარდაუვალ, გადაულახავ და აუცდენელ მოვლენას, რომელსაც, როგორც წესი, არანაირი კავშირი არ აქვს ზიანის გამომწვევ ნივთთან“¹⁰¹. ქართულ დელიქტურ სამართალში ტერმინ დაუძლეველი ძალის გამოყენება ზუსტად ვერ პასუხობს მის მიზნებს და ნორმის დამცავი ფუნქცია იკარგება.

4.3. 999-ე მუხლის დამცავი ფუნქცია

სამართლის ნორმებს გააჩნიათ ფუნქციები და მიზნები, რომელთა მიღწევასაც კანონმდებელი მასში ჩადებული შინაარსით ცდილობს. შესაძლებელია, კანონის ტექსტიდან პირდაპირ იკითხებოდეს კანონმდებლის სურვილი, თუმცა არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სიტყვასიტყვითი განმარტება საკმარისი არაა. სამართლის ნორმის ბუნდოვანების გამო, დგება ხოლმე მისი განმარტების საკითხი. არსებობს განმარტების რამდენიმე ხერხი და საშუალება, თუმცა ყველაზე პრაქტიკული ნორმის მიზნობრივი განმარტებაა. ასეთ დროს უნდა ამოვიდეთ კანონმდებლის ნებიდან, გავარკვიოთ რამ განაპირობა მსგავსი სამართლებრივი ნორმის შემოღება და მივუსადაგოთ კონკრეტულ გარემოებებს.

როგორც უკვე ითქვა, სკ-ის 999-ე მუხლი არეგულირებს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას წარმოშობილ დელიქტურ ვალდებულებებს. სატრანსპორტო საშუალება მომეტებული საფრთხის წყაროა, რის გამოც კანონმდებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობს მას და მფლობელისაგან დიდ ყურადღებას ითხოვს. ეს უკანასკნელი კი წინდახედულობისა ვალდებულების ზედმიწევნით დაცვაში გამოიხატება.

¹⁰⁰ იქვე, 279, ნაშრომიდან - Sabard O., Les causes d'exonération en droit français et dans d'autres ordres juridiques nationaux, 3-4,

¹⁰¹ იქვე, 279, ნაშრომიდან - Starck B., Droit Civil, Obligations, Responsabilité délictuelle, 2 éd., Paris, 258

ზოგადი წესის თანახმად, დაზარალებულს მიყენებული ზიანი უნდა აუნაზღაურდეს. კანონმდებლობამ ბალანსი უნდა დაიცვას, ერთი მხრივ, ზიანის მიმყენებელ პირს და, მეორე მხრივ, დაზარალებულის ინტერესებს შორის. დელიქტური ვალდებულების მოვალეს ზედმეტად არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა და იგი არ უნდა იყოს შეუზღუდავი. მოცემული ნორმა უზრუნველყოფს და გარანტირებულს ხდის ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის დადგენას, თუმცა, ასევე, ითვალისწინებს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ამდენად, შეგვიძლია, გამოვყოთ 999-ე მუხლის მიზნები: 1) სატრანსპორტო საშუალებით ზიანის მიყენების პრევენცია. „პრევენცია სამოქალაქო სამართალში ნათლად არაა განსაზღვრული, თუმცა ის სისხლის სამართალში სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე არის შესწავლილი“¹⁰². კანონი დაზარალებულზე ახდენს ფინანსურ, ქონებრივ ზემოქმედებას და ამით ცდილობს თავიდან აირიდოს დელიქტური ქმედების განმეორებით ჩადენა;

2) დაზარალებულის დაკმაყოფილების ფუნქცია. მას სხვანაირად სატისფაქციას უწოდებენ. ეს ფუნქცია ემსახურება სუბიექტური ასპექტების დაკმაყოფილებას¹⁰³; 3) მომეტებული საფრთხის წყაროს გონივრული წინდახედულობით გამოყენება; 4)

4.4. ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას მიყენებული ზიანის გამო. როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით, მოცემული ნორმა ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას ადგენს. ეს უკანასკნელი საერთო სამართლის ქვეყნებში მკაცრი პასუხისმგებლობის ტერმინითაა ცნობილი. აღსანიშნავია, რომ ეს ორი იდენტური შინაარსის

¹⁰² მ. ბიჭია, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, 242

¹⁰³ იქვე, 243

მქონე ცნებაა. მომეტებული საფრთხის წყაროს მიმართ მსგავსი პასუხისმგებლობის გამოყენება გამართლებულია რამდენიმე მიზეზის გამო: 1) სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაცია დიდი რისკის შემცველია და გონივრული წინდახედულობის ნორმები ზედმიწევნით უნდა იყოს დაცული; 2) ამ რისკის საფუძველზე კანონმდებელი ასეთ შემთხვევებს ცალკე, სპეციალურად აწესირებს. საწინააღმდეგოს დაშვებისას, დავინახავთ, აზრს მოკლებული იქნებოდა 999-ე მუხლის არსებობა და პასუხისმგებლობა დადგებოდა დელიქტის ზოგადი ნორმის - 992-ე მუხლის საფუძველზე.

კანონმდებლის მიერ ასეთი განსაკუთრებული რეგულირება მნიშვნელოვანია სხვა მხრივაც, კერძოდ, მტკიცების ტვირთის გადანაწილების კუთხით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეული მხარე ამტკიცებს მის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს. ეს არის მტკიცების ტვირთის გადანაწილების ზოგადი დანაწესი. აქვე უნდა ითქვას, მისი განსაზღვრა შესაძლებელია გამომდინარეობდეს თავად მატერიალური ნორმიდანაც, არაა გამორიცხული, სამართლის ნორმა პირდაპირ უთითებდეს, რომელმა მხარემ უნდა ამტკიცოს ესა თუ ის ფაქტობრივი გარემოება.

ზოგიერთი მატერიალური შინაარსის მქონე ნორმა საკუთარ თავში შეიცავს პრეზუმციებს. პრეზუმცია ეს არის ფაქტის ვარაუდი, სანამ საპირისპირო არ დამტკიცდება. ამდენად, მისი გაქარწყლება დასაშვებია. პრეზუმციები გვეხმარება მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრასა და მტკიცების ტვირთის სამართლიანად გადანაწილებაში. „ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ვარაუდი და პრეზუმფცია. ვარაუდი არის ფაქტისადმი დამოკიდებულება, რომელიც, დროებით, მტკიცებულებების მოპოვებამდე, ითვლება ნამდვილად, ხოლო პრეზუმფცია, ე.წ. დადასტურებული ვარაუდია და არსებობს იქამდე, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება“¹⁰⁴.

¹⁰⁴ ე. მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბილისი, 2020, 172

4.5. მტკიცების ტვირთი

ზემოთ ჩვენ ვისაუბრეთ სატრანსპორტო საშუალებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძვლებზე. ერთ-ერთი ასეთია ფორსმაჟორი¹⁰⁵. დელიქტური ურთიერთობის ზოგადი მოწესრიგებით, დაზარალებულმა უნდა ამტკიცოს ზიანის დადგომის ფაქტი, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი. განსხვავებულადაა ეს საკითხი მოწესრიგებული ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დადგომის შემთხვევაში. ასეთ დროს დაზარალებული ამტკიცებს მხოლოდ ზიანის დადგომის ფაქტს და მის ოდენობას, ჰქონდა თუ არა ადგილი მომეტებული საფრთხის წყაროში არსებული რისკების რეალიზებას. ზიანის მიმყენებელი კი ვალდებულია ამტკიცოს, რომ ზიანის მიყენება მოხდა ფორსმაჟორულ სიტუაციაში. თუმცა, დასაშვებად უნდა მივიჩნიოთ მტკიცების ტვირთის სხვაგვარი გადანაწილება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ზიანის დადგომაზე ორივე მხარე ზემოქმედებს. „ეს შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც ზიანი დგება მომეტებული საფრთხის წყაროთა ურთიერთქმედებისას. ამ სიტუაციაში უნდა განისაზღვროს, თუ ვის მიადგა ზიანი. თუ დაზარალებული მესამე პირია (ფეხით მოსაირულე, მგზავრი და სხვ.), პასუხისმგებლობა ეკისრება შეჯახებული სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებს სოლიდარული პასუხისმგებლობის წესით, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო შეჯახებაში ბრალეული“¹⁰⁶.

„აღნიშნული შემთხვევისაგან განსხვავდება სიტუაცია, როდესაც შეჯახებას მოჰყვება სატრანსპორტო საშუალების მფლობელისთვის ზიანის მიყენება, ვინაიდან აქ პასუხისმგებლობა დაეკისრება ზიანის ბრალეულ მიმყენებელს. ე.ი. თუ არავინაა დამნაშავე არც ერთ მფლობელს არ აქვს მეორის ხარჯზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება“¹⁰⁷.

¹⁰⁵ ამ ტერმინის გამოყენება უფრო მიზანშეწონილია, რადგან უკეთ გამოხატავს ზიანის მიმყენებლის სამართლებრივი დაცვის გარანტიებს

¹⁰⁶ მ. ბიჭია, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, 308

¹⁰⁷ იქვე, 308

ასეთ დროს უფრო მიზანშეწონილი იქნება მტკიცების ტვირთის ზოგადი გადანაწილება. ამდენად, პროცესუალური თვალსაზრისით, სამართლიანი იქნება მხარეთა თანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება ამ კუთხით.

4.6. ვინ მოიაზრება 999-ე მუხლში ნახსენებ მფლობელში?

ერთი შეხედვით, სკ-ის 999-ე მუხლში ნახსენები მფლობელი, რომელიც, ამავე დროს, მომეტებული საფრთხის ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი, ბუნდოვანებას არ უნდა იწვევდეს. თუმცა, სასამართლო პრაქტიკაში მოცემული მუხლის დანაწესი სხვადასხვაგვარად განიმარტება. ზოგიერთი კატეგორიის დავაზე მასში მოიაზრებენ არაპირდაპირ მფლობელს, მესაკუთრეს და მასზე ავრცელებენ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპს. სხვა შემთხვევებში კი პირდაპირი მფლობელი გამოდის პასუხისმგებელ პირად, ე.ი. ის, ვინც უშუალოდ ახდენს მომეტებული საფრთხის წყაროს ექსპლუატაციას, წარმოადგენს ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ სუბიექტს. სასამართლოს არაერთგვაროვანი მიდგომა განაპირობებს ნორმის იმგვარ ინტერპრეტაციას, რომელიც სცდება მის მიზნებს და იწვევს უსამართლო შედეგებს.

კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით მესაკუთრის ხელოვნურად ჩართვას დელიქტურ ურთიერთობაში. ამისათვის რამდენიმე მიზეზი არსებობს. უპირველეს ყოვლისა, უნდა შევეხოთ სამართლებრივი ნორმის განმარტების საკითხს. მისი ინტერპრეტაციის საჭიროება შინაარსის ბუნდოვანების გამო დგება. ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც სიტყვასიტყვითი განმარტება საკმარისი არაა და ვერ დგინდება კანონმდებლის მიერ დასახული მიზანი.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ განმარტების სუბიექტურ და ობიექტურ თეორიებს¹⁰⁸. სუბიექტური თეორიის მიხედვით, კანონი არის საკანონმდებლო ხელისუფლების განმახორციელებელი ცოცხალი ადამიანების ნების გამოხატულება და განმარტების მიზანი მისი

¹⁰⁸ გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 150

ისტორიული ნების დადგენა¹⁰⁹. რაც შეეხება ობიექტურ თეორიას, იგი კანონს განიხილავს კანონმდებლისაგან დამოუკიდებელ ცოცხალ ორგანიზმად, რომლის ინტერპრეტაციისათვის „უნდა გავარკვიოთ მხოლოდ ობიექტური, კანონისათვის იმანენტური მნიშვნელობა“¹¹⁰. აღსანიშნავია, რომ განმარტების ეს ორი თეორია ცალ-ცალკე საკმარისი არაა ნორმის განმარტებისათვის. ამიტომაც, განმარტების პროცესში ორივე მათგანი უნდა იყოს გამოყენებული.

არსებობს განმარტების რამდენიმე საშუალება. მართალია, წინასწარ შემუშავებული წესები ყველა სადავო საკითხზე არ გამოგვადგება, თუმცა უკვე არსებული განმარტების ხერხები წარმოადგენს ზოგად წესებს, ერთგვარ სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც სამართლის დანაწესის ნორმატიული შინაარსის სწორად განსაზღვრაში გვეხმარება. ესენია: 1) გრამატიკული; 2) ისტორიული; 3) სისტემური; 4) მიზნობრივი. ჩამოთვლილიდან შევჩერდებით მხოლოდ გრამატიკულ და მიზნობრივ განმარტებაზე, რადგან ისინი ყველაზე მეტად გამოყენებადი და პრაქტიკულია.

გრამატიკული განმარტების დროს შინაარსის ახსნა ხდება სიტყვათა მნიშვნელობისა და გრამატიკული წესების მიხედვით¹¹¹. თუ განმარტების ამ ხერხს გამოვიყენებთ სკ-ის 999-ე მუხლის მიმართ, მივიღებთ ლოგიკურ შედეგს. ეს ის რეზულტატია, რომლის დადგომაც კანონშემოქმედის ნებაა: პასუხისმგებელი პირის დადგენა და მისთვის გონივრული წინდახედულობის ვალდებულების დაკისრება, რაც დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურების გარანტიების შექმნის საფუძველია. დელიქტური ქმედების განმეორებით ჩადენის პრევენციასთან ერთად, ზემოაღნიშნული წარმოადგენს 999-ე მუხლის მიზანს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, თავად სამოქალაქო კოდექსის ლინგვისტიკა. მისთვის დამახასიათებელია საკუთრების უფლების მქონე პირის აღნიშვნა

¹⁰⁹ იქვე, 150

¹¹⁰ იქვე, 150

¹¹¹ იქვე, 153

ტერმინით - მესაკუთრე. იგი არსადაა ნახსენები როგორც არაპირდაპირი მფლობელი.

შეგვიძლია დავასკვნათ, გრამატიკული განმარტებითაც მიიღწევა ლოგიკური, სამართლიანი შედეგი. როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში აღარ დგება განმარტების სხვა ხერხების გამოყენების საჭიროება, რადგან ნორმა ზოგიერთ შემთხვევაში ესწრაფვის არა ერთი, არამედ რამდენიმე განსხვავებული მიზნის რეალიზებას, რასაც განსხვავებული მიზნების კონკურენცია შეგვიძლია ვუწოდოთ¹¹². ამიტომაც, იგი უნდა გამოვიყენოთ მაშინ, როდესაც ტექსტის სიტყვასიტყვითი განმარტება იმდენად ფართოა, რომ აშკარად სცილდება კანონის მიზანს¹¹³.

რაც შეეხება ტელეოლოგიურ ხერხს, ასეთი განმარტების დროს ნორმა არ გამოიყენება, თუ მისი შეფარდება მიგვიყვანს კანონის მიზნის საწინააღმდეგო შედეგამდე¹¹⁴. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკ-ის 999 მუხლის მიზანი დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა, მტკიცების ტვირთის ზიანის მიმყენებელზე გადატანა და დელიქტური ქმედების სამომავლო პრევენციაა. თუ გავიზიარებთ გავრცელებულ მოსაზრებას, მფლობელის ცნებაში მივუთითებთ არაპირდაპირ მფლობელზე, ამით არათუ მიიღწევა ნორმის მიზანი, არამედ გაცილებით სცილდება მას. დელიქტურ ურთიერთობაში შემოვა მესამე პირი მესაკუთრის სახით. სამართლის სუბიექტის მსგავსი ხელოვნური ჩართვა სამართლებრივ ურთიერთობაში იწვევს მისი უფლებების შელახვას და 999-ე მუხლს გადააქცევს სადამსჯელო ნორმას.

მფლობელობა ეს არის ქონებაზე ფაქტობრივი ბატონობა თავისუფალი ნების საფუძველზე. არსებობს შემთხვევები, როდესაც, მართალია, პირი ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას, მაგრამ არ მიიჩნევა მფლობელად. ერთი შეხედვით, ასეთ დროს, თითქოს მფლობელობის ყველა ელემენტია მოცემული, მაგრამ ფაქტობრივი ბატონობის სხვისთვის და სხვისი

¹¹² შდრ. იქვე, 156

¹¹³ იქვე, 158

¹¹⁴ იქვე, 157

მითითებებისამებრ განხროცილება გამორიცხავს პირის მფლობელად მიჩნევას. იგი მიიჩნევა მპყრობელად, მჭერად. ეს ის სიტუაციებია, როდესაც, მაგალითად, სუბიექტს ფაქტობრივი ბატონობა შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აქვს მოპოვებული. „ამასთან, კანონით ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა, თუ ზიანი მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას. აქ არ აქვს მნიშვნელობა, რა დროს დადგა ზიანი - სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას თუ სატრანსპორტო საშუალების თვითნებურად ან თავისი პირადი მიზნებისთვის გამოყენებისას“¹¹⁵. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რა უნდა მივიჩნიოთ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციად? თუ ავტომანქანა მოქმედი ძრავით მონაწილეობდა საგზაო მოძრაობაში, ითვლება, რომ ზიანის მიყენებისას სატრანსპორტო საშუალება ექსპლუატაციაშია¹¹⁶.

მფლობელის მაგივრად მესაკუთრისათვის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დაკისრება პრობლემურია სხვა მხრივაც. როგორც ვიცით, დელიქტური ნორმების შემცველი ფაქტობრივი გარემოებები მოიაზრებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, დამდგარ ზიანს, ბრალს და მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და ზიანს შორის. მესაკუთრის ხელოვნური ჩართვით ეს წინაპირობები ირღვევა, რაც გამოიხატება, როგორც ქმედების¹¹⁷, ისე მიზეზობრივი კავშირის არარსებობაში. „ზიანის ანაზღაურება არ არსებობს ანაზღაურებაზე ვალდებული პირის ქმედების გარეშე. ქმედება გულისხმობს როგორც აქტიურ მოქმედებას, ასევე, თავის შეკავებას“¹¹⁸.

თუ დავუშვებთ, რომ მესაკუთრის ბრალი გამოიხატება სატრანსპორტო საშუალებაზე, მომეტებული საფრთხის წყაროზე მფლობელობის გადაცემაში, ირღვევა ადეკვატური მიზეზობრიობის პრინციპი. ასეთ დროს

¹¹⁵ მ. ბიჭია, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, 307

¹¹⁶ სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდოლოგია, თბილისი, 2009, 213

¹¹⁷ ქმედება აუცილებელია პირისათვის დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის. აქვე გასათვალისწინებელია ისეთი შემთხვევა, როდესაც მართალია, პირი ახორციელებს ქმედებას, ჩვენს შემთხვევაში, ახდენს მომეტებული საფრთხის წყაროს ექსპლუატაციას, თუმცა იგი არის მხოლოდ ნივთის მპყრობელი და ფაქტობრივ ბატონობას ახორციელებს სხვა პირისათვის, მისი მითითებების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში ქმედება შეერაცხება მფლობელს და მასვე დაეკისრება ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა.

¹¹⁸ სახელშეკრულებო სამართალი, გ.ჯუღელის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 677

კი ნებისმიერი მოვლენა შეგვიძლია მივიჩნიოთ ზიანის დადგომის საფუძვლად მისი უსასრულო ჯაჭვის გამო.

ამდენად, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა არ უნდა გავიგოთ მხოლოდ სიტყვასიტყვითი აზრით. იგი მტკიცების ტვირთის გადანაწილების საშუალებაცაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ძირითადი სამართლებრივი განმსაზღვრელია მტკიცების პროცესის გამარტივება¹¹⁹ პირს, რომელსაც ეკისრება ასეთი პასუხისმგებლობა, ვალდებულია ამტკიცოს ფორსმაჟორის არსებობა, რაც ზიანის ანაზღაურებისაგან გათავისუფლების საფუძველია.

4.7. უფლებამონაცვლეობა

უფლებამონაცვლეობა განიმარტება, როგორც უფლებებისა და მოვალეობების ან ცალკეული უფლებების გადასვლა ერთი პირიდან მეორეზე¹²⁰. არსებობს მათი გადასვლის ორი საფუძველი - სახელშეკრულებო და კანონისმიერი. პირველის შემთხვევაში უნდა არსებობდეს მხარეთა მიერ თავისუფალი ნებით დადებული გარიგება, ხოლო კანონის ძალით სამართლებრივ ურთიერთობაში პირის შეცვლას ნების გამოვლენა არ სჭირდება. იგი ხორციელდება საკანონმდებლო დანაწესით.

ერთმანეთისაგან განსხვავდება სინგულარული და უნივერსალური უფლებამონაცვლეობა. სინგულარული უფლებამონაცვლეობა გულისხმობს მხოლოდ ერთი კონკრეტული ვალდებულების გადასვლას მოვალესა თუ კრედიტორზე. უნივერსალური უფლებამონაცვლეობა კი პირიქით, მოიცავს პირის, როგორც ყველა აქტივს, ისე პასივებსაც. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია, მემკვიდრეობა.

აუცილებელია აღინიშნოს, უფლებამონაცვლეობით ახალი ვალდებულება არ წარმოიშობა. სამართლებრივ ურთიერთობაში, მისი შინაარსის

¹¹⁹ Church/Corbett/Richard/White, Tort Law, The American and Louisiana Perspectives, 2008, 479

¹²⁰ ხოლუაშვილი ნ., უფლებამონაცვლეობის ზოგადი მიმოხილვა, მართლმსაჯულება და კანონი, N2 (33)12, 2012, 51

უცვლელად, შემოდის ახალი პირი, იქნება ეს კრედიტორი თუ მოვალე. მას ექნება ზუსტად ისეთივე მოთხოვნა თუ ვალდებულება, როგორც უკვე გასულ სუბიექტს ჰქონდა. განსახილველი თემის ფარგლებში, საინტერესოა, დასაშვებია თუ არა დელიქტური მოთხოვნის დათმობა ან ვალდებულების კისრება, ასევე, რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება დაზარალებული პირის გარდაცვალებას და რა უფლებები აქვთ მის მემკვიდრეებს. ამიტომაც, ჯერ განვიხილავთ უფლებამონაცვლობას გარიგების საფუძველზე, ხოლო შემდგომ გადავალთ კანონისმიერ უფლებამონაცვლობაზე.

სკ-ის 198-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნა ან უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს. უფლებები და მოთხოვნები ეს არამატერიალური ქონებრივი სიკეთეებია, რომლის ცნებასაც სკ-ის 152-ე მუხლი განსაზღვრავს¹²¹. მართალია, 198-ე მუხლში ნახსენებია მფლობელი, თუმცა მასში მესაკუთრე უნდა მოვიაზროთ, ვინაიდან საკუთრების უფლების გადაცემა მხოლოდ მესაკუთრის უფლებამოსილებაა და არა მფლობელის.

„მოთხოვნის დათმობა ჩვეულებრივ ხდება მოთხოვნის მფლობელს (ძველ კრედიტორს) და მესამე პირს (ახალ კრედიტორს) შორის დადებული ხელშეკრულებით. ამ ხელშეკრულებით კრედიტორი მოთხოვნის უფლებას გადასცემს მესამე პირს. პირს, რომელიც თავისი მოთხოვნის უფლებას გადასცემს, ეწოდება ცედენტი, ხოლო პირს, რომელიც იღებს მოთხოვნის უფლებას (ახალი კრედიტორი) - ცესიონერი“¹²².

მოთხოვნის დათმობა ორმხრივი გარიგებაა, ამიტომ, საკმარისი არ არის მხოლოდ ცესიონერის მხრიდან მოთხოვნის დათმობის თაობაზე ნების გამოვლენა, არამედ აუცილებელია გარიგების მეორე მხარის მიერ მისი მიღება¹²³. თავისი სამართლებრივი ბუნებით მოთხოვნის დათმობა

¹²¹ არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე

¹²² ზ.ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, (მეორე გამოცემა), თბილისი, 1999, 41

¹²³ ზ. ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), მეოთხე გამომუშავებული გამოცემა, თბილისი, 2016, 244

წარმოადგენს განკარგვით გარიგებას, ვინაიდან ამ დროს ხდება არსებულ უფლებაზე უშუალო ზემოქმედება - მისი გადაცემა სხვა პირზე¹²⁴.

„მოთხოვნის დათმობის დროს მოვალის თანხმობა საჭირო არ არის, რამდენადაც კრედიტორის პიროვნებას საერთოდ არ შეუძლია რაიმე გავლენა მოახდინოს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებაზე, თუმცა შესაძლებელია, კრედიტორის პიროვნებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს მოვალისათვის. ასეთ შემთხვევაში მოთხოვნის დათმობა არ დაიშვება“¹²⁵. სკ-ის მე-200 მუხლი აწესებს მოვალის ინფორმირების ვალდებულებას. ვიდრე მას ეცნობება ახალი კრედიტორის შესახებ, იგი უფლებამოსილია ვალდებულება შეასრულოს მოთხოვნის თავდაპირველი მფლობელის წინაშე.

ქართულ სამართალში მოთხოვნის დათმობა აბსტრაქტულია და არ არის დამოკიდებული სამართლებრივ საფუძველზე (კაუზაზე)¹²⁶. აბსტრაქციის პრინციპის მოქმედება გამოიხატება იმაში, რომ თუ მათ შორის დადებული ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება (მავალდებულებელი გარიგება) თავიდანვე ბათილი იყო ან შემდგომში ბათილად იქნება ცნობილი, შემძენი ხდება მესაკუთრე და უფლებამოსილია შემდგომ გასხვისებაზე¹²⁷.

მოთხოვნის დათმობის ნამდვილობისათვის აუცილებელია რამდენიმე წინაპირობის არსებობა: 1) მოთხოვნის განსაზღვრულობა; 2) მოთხოვნის მიკუთვნება კრედიტორისადმი; 3) მოთხოვნის გადაცემის შესაძლებლობა¹²⁸.

„მოთხოვნის სხვა პირისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის პრინციპი ანალოგიურია მატერიალურ ქონებაზე (ნივთებზე) საკუთრების უფლების გადაცემის იმ პრინციპისა, რომლის თანახმადაც საკუთრების უფლება (ისევე როგორც სხვა სანივთო უფლება) შეიძლება არსებობდეს მხოლოდ

¹²⁴ იქვე, 245

¹²⁵ ზ.ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, (მეორე გამოცემა), თბილისი, 1999, 42

¹²⁶ ზ. ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), მეოთხე გამომუშავებული გამოცემა, თბილისი, 2016, 245

¹²⁷ იქვე, 245

¹²⁸ იქვე, 258

განსაზღვრულ, კონკრეტულ ქონებაზე¹²⁹. მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებაში, როგორც წესი, ზუსტად უნდა იქნეს განსაზღვრული, თუ რომელი მოთხოვნის გადაცემა ხდება და რა ფარგლებში¹³⁰. აღსანიშნავია, რომ ერთი მოთხოვნის დათმობის გარიგებით შესაძლებელია რამდენიმე მოთხოვნის დათმობა, როგორც ერთი, ისე რამდენიმე მოვალის მიმართ¹³¹.

მოთხოვნის განსაზღვრულობასთან ერთად, მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით მოთხოვნის გადაცემის ერთ-ერთი წინაპირობაა ის, რომ იგი ეკუთვნის კრედიტორს¹³². პრობლემურია საკითხი კეთილსინდისიერ შემენასთან დაკავშირებით. სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც მყიდველს, როგორც კეთილსინდისიერ შემძენს იცავს, პირდაპირ მიუთითებს, რომ მოცემული პრინციპი მხოლოდ მოძრავ ნივთებზე ვრცელდება. ამაზე პასუხი უნდა გასცეს სასამართლო პრაქტიკამ, გავრცელდება თუ არა იგი ანალოგიის გზით არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე.

სკ-ის 199.1-ე მუხლი დაუშვებლად ცნობს მოთხოვნის დათმობას, თუ იგი ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს. ამ უკანასკნელში იგულისხმება ისეთი უფლებები და მოთხოვნები, რომლებიც მხოლოდ ერთ პირს შეიძლება ეკუთვნოდეს. მსგავსი პიროვნული უფლებების სხვა პირზე გადასვლა სამოქალაქო ბრუნვის არასტაბილურობას გამოიწვევს. სამართალი ყოველთვის დაუშვებლად მიიჩნევს ისეთი მოთხოვნების დათმობას, რომელთა სხვა პირებისათვის გადაცემა ეწინააღმდეგება მოვალესა და კრედიტორს შორის არსებულ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას¹³³. უფრო ხშირად კანონი არ შეიცავს პირდაპირ აკრძალვას კონკრეტული მოთხოვნის დათმობისა, მაგრამ სამართლებრივი ურთიერთობის განსაკუთრებული ხასიათის გამო

¹²⁹ ზ.ჭეჭელაშვილი, მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, 2008, 53

¹³⁰ ზ. ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), მეოთხე გამომუშავებული გამოცემა, თბილისი, 2016, 259

¹³¹ ზ.ჭეჭელაშვილი, მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, 2008, 54

¹³² იქვე, 58

¹³³ იქვე, 66

დათმობას გამორიცხავს¹³⁴. „ვალდებულების არსის წინააღმდეგობის საკითხი არ წყდება ყოველთვის

მხოლოდ სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების იურიდიული ანალიზით, არამედ იგი სასამართლოსეული შეხედულების საგანიცაა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული თუ არა ესა თუ ის მოთხოვნის დათმობა¹³⁵.

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას შესაძლოა მოჰყვეს რამდენიმე სახის ზიანი: 1) ქონებრივი ანუ რეალური; 2) ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება და სხეულის დაზიანება, წარმოშობს არამატერიალურ ქონებრივ ზიანს. მას უკავშირდება, ასევე, სარჩოს გადახდის ვალდებულება; 3) ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით; 4) სუფთა ქონებრივი ზიანი.

ჩამოთვლილთაგან შეგვიძლია გამოვყოთ ზიანი, რომელიც დაკავშირებულია პიროვნებასთან და მხოლოდ მას შეუძლია განახორციელოს მოთხოვნის უფლება. ასეთი იქნება დაზარალებულისათვის სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად წარმოშობილი ზიანი. შესაძლოა, პირს ავტომანქანის შეჯახების შედეგად წაერთვას შრომის უნარი ან შეუმცირდეს იგი. ზიანის მიმყენებელი კი ვალდებულებია აღადგინოს ზიანის მიყენებამდე არსებული მდგომარეობა, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, ყოველთვიურად გადაუხადოს სარჩო, მიიღოს მონაწილეობა ნებისმიერ დამატებით ხარჯში, რომელიც ფიზიკური ხელშეუხებლობის დარღვევის გამო წარმოიშობა. სწორედ აღნიშნულის გამო, მსგავსი მოთხოვნები პიროვნულად ითვლება, მხოლოდ ერთ პირს შეიძლება ეკუთვნოდეს და მისი სხვა სუბიექტისათვის გადაცემა ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს. ამიტომაც, არ უნდა მივიჩნიოთ დასაშვებად ასეთი მოთხოვნების დათმობა. რაც შეეხება ზიანის დანარჩენ სახეებს, იგი მეტწილად ქონებრივ ანაზღაურებასთანაა დაკავშირებული. სხვა პირის მიმართ მათი

¹³⁴ იქვე, 66

¹³⁵ იქვე, 67

შესრულებით სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასა და უსაფრთხოებას ამით საფრთხე არ ემუქრება. შესაბამისად, კრედიტორს არ ეკრძალება გასხვისება და მათზე საკუთრების უფლების სხვა პირისათვის გადაცემა.

ქართული სამართალი იცნობს სინგულარული სამართალმემკვიდრეობას ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში არა მარტო მოთხოვნებისა და უფლებების, არამედ ვალების მიმართაც¹³⁶. იმისდა მიხედვით, თავისუფლდება თუ არა ძველი მოვალე ვალის გადაკისრების ხელშეკრულების შედეგად თავისი ვალდებულებისაგან, სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში განასხვავებენ ვალის გადაკისრების ორ სახეს: 1) პრივატული ვალის გადაკისრება და 2) კუმულატიური ვალის გადაკისრება¹³⁷. მათ შორის განსხვავება სამართლებრივ შედეგებშია. პირველ შემთხვევაში ძველი მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულებისაგან და მის ადგილს იკავებს ახალი მოვალე, ხოლო კუმულატიური ვალის გადაკისრების დროს ძველი მოვალე რჩება ვალდებული კრედიტორის წინაშე, მესამე პირი კი ვალდებულებით-სამართლებრივ

ურთიერთობაში შემოდის თანამოვალის სახით¹³⁸. „კუმულატიური ვალის გადაკისრებას მეორენაირად შეგვიძლია ვალის დელეგირება (დელეგაცია) ვუწოდოთ“¹³⁹.

განსხვავებით მოთხოვნის დათმობისაგან, ვალის გადაკისრებას ნამდვილობისათვის კრედიტორის თანხმობა სჭირდება. ლოგიკური იქნება, თუ ასეთი თანხმობის სავალდებულოობას გამოვრიცხავთ ვალის დელეგირების შემთხვევაში. კრედიტორისათვის, როგორც წესი, არაა მნიშვნელოვანი ვინ შეუსრულებს ვალდებულებას, ამიტომაც დასაშვებად უნდა მივიჩნიოთ ვალის გადაკისრება ზიანის ნებისმიერი სახის მიმართ. მოვალისათვის იგი არ შეიძლება პიროვნულ ვალდებულებად ჩაითვალოს.

¹³⁶ ზ. ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), მეოთხე გამაძეგებული გამოცემა, თბილისი, 2016, 286

¹³⁷ იქვე, 286

¹³⁸ შდრ. ზ. ჭეჭელაშვილი, მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, 2008, 115

¹³⁹ იქვე, 115

თანაც, საწინააღმდეგოს დაშვების შემთხვევაში დაზარალებული პირის უფლებებსა და ინტერესებს საფრთხე ექმნება.

4.8 სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში

მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებას შესაძლოა მოჰყვეს ისეთი ფატალური შედეგები, როგორცაა ადამიანის გარდაცვალება. სკ-ის 413-ე მუხლი არეგულირებს ზიანის ანაზღაურებას არაქონებრივი ზიანის მიყენებისას. კერძოდ, იგი შეიძლება მოთხოვნილ იქნეს კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. განსახილველი ნორმის მიზანია, შეამციროს, შეზღუდოს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის დაუსაბუთებელი გაფართოება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და წესრიგი¹⁴⁰.

თავისი არსით არაქონებრივი ზიანი არის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვა, რომელსაც

პირი განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად კი არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფის

გამო¹⁴¹. დოქტრინის თანახმად, მორალური ზიანის განცდას იწვევს ზნეობრივი და ფიზიკური ტანჯვა რაც ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევაში გამოიხატება¹⁴². მართალია, უმრავლეს შემთხვევებში, არამატერიალური ზიანის თვალთ დასახვა შეუძლებელია, მაგრამ ზოგჯერ განცდები მძიმედ აისახება პირის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე¹⁴³.

¹⁴⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-979-940-2014.

¹⁴¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, 69

¹⁴² კვანტალიანი ნ., პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, 2014, 153.

¹⁴³ ბიჭია., მ. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, მართლმსაჯულება და კანონი N3(51), 2016, 103

სამოქალაქო კოდექსში არაა მითითება დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში წარმოიშობა თუ არა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუ წარმოიშობა მაშინ რა ფარგლებში? ვის უნდა ჰქონდეს მოთხოვნის უფლება? ეს ის კითხვებია, რომლებზედაც პასუხი სასამართლო პრაქტიკამ უნდა გასცეს. ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსამართლე ნორმის მხოლოდ სიტყვასიტყვით განმარტებას სჯერდება და ზედაპირულად ავრცელებს მას სადავო საქმეზე.

უფლებამონაცვლეობა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, განიმარტება როგორც უფლებებისა და მოვალეობების ან ცალკეული უფლებების გადასვლა ერთი პირიდან მეორე პირზე, რომელიც შეიძლება განხორციელდეს კანონის, ხელშეკრულების, ასევე, სხვა იურიდიული დოკუმენტის ძალით¹⁴⁴.

ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ უნივერსალური და სინგულარული უფლებამონაცვლეობა. „პირი უნივერსალური უფლებამონაცვლეობის დროს მისი წინამორბედისაგან იღებს მთელ ქონებას ან ქონებაში წილს. მისგან განსხვავებით, სინგულარული უფლებამონაცვლეობისას პირი მოიპოვებს უფლებას ერთ განსაზღვრულ ნივთზე ან ნივთთა ერთობაზე¹⁴⁵. აღსანიშნავია, რომ უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში არ იცვლება ხელშეკრულების შინაარსი, არამედ ხდება სამართლებრივურთიერთობაში პირის ცვლილება და მასზე უცვლელი სახით გადადის ყველა ის უფლება და ვალდებულება, რაც უფლებამონაცვლეობამდე არსებობდა¹⁴⁶.

ქონებრივი ზიანის ანაზღაურების კუთხით, ავტომანქანის შეჯახების შედეგად გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლისათვის მოთხოვნის უფლების მინიჭება არ წარმოადგენს პრობლემურ საკითხს. როგორც ზემოთ ითქვა, უფლებამონაცვლეობა ყველა შემთხვევაში არაა დასაშვები. იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ვალდებულების არსს. ქონებრივი ანუ რეალური

¹⁴⁴ ხოლუაშვილი ნ., უფლებამონაცვლეობის ზოგადი მიმოხილვა, მართლმსაჯულება და კანონი, N2 (33)12, 2012, 51

¹⁴⁵ თ., შოთაძე, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, თეორია, პრაქტიკა, შედარებითი კვლევა, თბილისი, 2017, 205

¹⁴⁶ იქვე, 206

ზიანის მიყენებისას, წარმოიშობა ისეთი ვალდებულება, რომელიც შეუძლია შეასრულოს ნებისმიერმა პირმა, თუ კრედიტორი მოვალის ინტერესებიდან გამომდინარე არ განაცხადებს უარს. ამდენად, იგი არაა პირადი ვალდებულება.

რაც შეეხება არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს რა მოთხოვნაზეა საუბარი. კანონშეუსაბამო იქნება თუ ვიტყვით, რომ გარდაცვლილი პირის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების და სხეულის დაზიანების გამო მას წარმოეშობა მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება, რისი მოთხოვნის უფლებაც გადაეცემა შემდგომში მის უფლებამონაცვლეს. უფრო მართებული იქნება უფლებამონაცვლისათვის მისი ოჯახის წევრის გარდაცვალების გამო არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დაშვება, რაც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის შესაბამისი იქნება.

„ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მაღალი სტანდარტი დაადგინა საქმეში¹⁴⁷, სადაც აპლიკანტის ახლობლის სიკვდილი გამოიწვია კერძო პირის გაუფრთხილებელმა მოქმედებამ, კერძოდ ავტოსაგზაო შემთხვევამ. სასამართლოს განმარტებით, კერძო პირის დაუდევარი ქმედებით ადამიანი გარდაიცვალა და სამართლებრივმა სისტემამ ვერ უზრუნველყო ადეკვატური და დროული რეაგირება. სასამართლომ სახელმწიფოს დააკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება აპლიკანტისთვის, რადგან მან მძიმე ტრავმა განიცადა შვილის მოულოდნელი სიკვდილით, რომელზეც სახელმწიფომ სათანადო რეაგირება არ მოახდინა“¹⁴⁸.

ეს საკითხი ქართული კანონმდებლობით დარეგულირებული არაა. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის უფლების მქონე პირის დასადგენად უნდა ვიხელმძღვანელოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებითა და რეკომენდაციებით.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირი აუცილებელია ოჯახის

¹⁴⁷ Anna Todorova v. Bulgaria, no. 23302/03, § 83, ECHR, 2011.

¹⁴⁸ გაიპარაშვილი, 168

წევრი იყოს. ოჯახის ცნებაში კი იგულისხმება რეგისტრირებულ ქორწინება და სამოქალაქო პარტნიორობა¹⁴⁹.

მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვის შეუძლია, ამის შესაფასებლად სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო ყურადღებას აქცევს ოჯახურ ურთიერთობის სიახლოვეს, მსხვერპლი და მოსარჩელე ერთობლივად უძღვებოდნენ თუ არა საოჯახო საქმიანობას¹⁵⁰. აქვე უნდა ითქვას, მართალია ქართული კანონმდებლობა ოჯახის ცნებაში მოიაზრებს მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ოჯახის შექმნის მიზნით, თავისუფალი ნების საფუძველზე განხორციელებულ რეგისტრაციას, თუმცა ზიანის ანაზღაურების მიზნებისთვის იგი უნდა განიმარტოს ისე, რომ მასში ვიგულისხმოთ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი სუბიექტებიც. ეს მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც გავთავისუფლებით ზედმეტი ფორმალიზმისაგან, რაც ხელის შემშლელი ფაქტორია. ოჯახი გულისხმობს ადამიანური ურთიერთობების სიახლოვეს, რომლებიც ერთობლივად ახორციელებენ სამეურნეო საქმიანობას.

4.9. ზიანის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მოთხოვნის უფლების მფლობელს შეუძლია დააყენოს მოთხოვნა და მოახდინოს მისი რეალიზაცია¹⁵¹. სკ-ის 128-ე მუხლის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ხანდაზმულობის ვადის ათვლასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია მისი დაწყების მომენტის ზუსტი განსაზღვრა. „ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად

¹⁴⁹ Velikova v. Bulgaria, no. 41488/98, ECHR, 2000; Oğur v. Turkey (GC), no. 21594/93, § 98, ECHR, 1998; Kaya v. Turkey, no.158/1996/777/978, § 122, ECHR, 1998; Ergi v. Turkey, no. 23818/94, § 110, ECHR, 1998

¹⁵⁰ გაიპარაშვილი მ., ახლობელი ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურება საქართველოს სამართლის მიხედვით, კერძო სამართლის მიმოხილვა N2, 2019, 175

¹⁵¹ ათაბეგაშვილი, დ., სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობა და მისი ადგილი სასამართლო პრაქტიკაში მართლმსაჯულება და კანონი N4 (43)14, 2014, 119

ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ¹⁵². ანუ ფაქტი, რომლითაც დაინტერესებულ პირს უფლება დაერღვა და მასთან დაკავშირებითაც წარმოეშვა მოთხოვნის უფლება, შეიძლება მოხდეს შედარებით ადრე, მაგრამ ხანდაზმულობის ათვლა იწყება მოგვიანებით, როდესაც პირმა შეიტყო ან გარემოებებიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ უნდა შეეტყო მისი უფლების დარღვევის შესახებ¹⁵³.

დელიქტით გამოწვეული ზიანის მიყენების შემთხვევაში, დადგენილია ხანდაზმულობის სპეციალური ვადა, რომლის დაწყებაც ორ გარემოებას უკავშირდება¹⁵⁴. სკ-1008-ე მუხლის მიხედვით, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

5. სასამართლო პრაქტიკა

ფაქტობრივი გარემოებები¹⁵⁵

¹⁵² სკ-ის 130-ე მუხლი

¹⁵³ ათაბეგაშვილი, დ., სახელმეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობა და მისი ადგილი სასამართლო პრაქტიკაში მართლმსაჯულება და კანონი N4 (43)14, 2014, 120

¹⁵⁴ ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, 262

¹⁵⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის ას-254-239-2010 განჩინება

მოსარჩელე ითხოვდა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, კუთვნილი ავტომანქანის დაზიანების გამო, მოპასუხეებისაგან ზიანის ანაზღაურებას სოლიდარულად 9 419 ლარის ოდენობით. ქ. ს-ის საკუთრებაში მყოფი ავტომანქანა კანონიერ მფლობელობაში ჰქონდა გადაცემული შ. ხს და ეს უკანასკნელი სარგებლობდა ავტომანქანით. 2009 წლის 8 ივნისს შ. ხ-ს დაეჯახა ლ. ნ-ის საკუთრებაში მყოფი ავტომანქანა, რომელსაც მართავდა ვ. ბ-ი. საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი საჯარიმო ქვიტრიდან ირკვევა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ლ. ნ-ის საკუთრებაში მყოფი ავტომანქანის მიზეზით.

საქმის პროცედურული ისტორია

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ქ. ს-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე ვ. ბ-ს ქ. ს-ის სასარგებლოდ დაეკისრა 9 419 ლარის გადახდა, სარჩელის მოთხოვნა ლ. ნ-ის მიმართ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილებით ქ. ს-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება შეიცვალა ლ. ნ-ისათვის თანხის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ქ. ს-ის სარჩელი ლ. ნ-ისათვის ვ. ბ-თან ერთად სოლიდარულად მის სასარგებლოდ 9 419 ლარის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ნ-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც ქ. ს-ის მოთხოვნა ლ. ნ-ისათვის თანხის სოლიდარულად დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდება.

სამართლებრივი საკითხები

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანისათვის სატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

სასამართლოს დასკვნითი გადაწყვეტილება

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე ლ. ნ-მე, როგორც ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი, მიჩნეულ უნდა ყოფილიყო ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირად.

საკასაციო სასამართლოს განჩინების შეფასება

მოცემულ განჩინებაში საკასაციო სასამართლომ მიმოიხილა სატრანსპორტო საშუალების, როგორც მომეტებული საფრთხის წყაროს, ექსპლუატაციის შედეგად დამდგარ ზიანზე მფლობელის პასუხისმგებლობის თაობაზე, ასევე, ვინ უნდა მოვიაზროთ მასში და რა შემთხვევაში გათავისუფლდება იგი პასუხისმგებლობისაგან.

ვერ გავიზიარებთ სასამართლოს შეფასებას პასუხისმგებელი პირის განსაზღვრასთან დაკავშირებით. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია დავადგინოთ მფლობელობის არსი და ზუსტად განვსაზღვროთ მისი შინაარსი.

მფლობელობის ცნებას სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს. სკ-ის 155-ე მუხლში მოცემულია მისი ნიშნები, კერძოდ, ეს არის ქონებაზე ფაქტობრივი ბატონობა განმახორციელებელი პირის თავისუფალი ნების საფუძველზე. შეიძლება ითქვას, „მფლობელობა არის ფაქტობრივი ძალაუფლება, ბატონობა ქონებაზე, როგორც წესი, ნივთზე, რომელიც შეიძლება იყოს როგორც მოძრავი, ისე უძრავი. მფლობელობის საგანი წარმოადგენს ნივთზე დადგენილი სანივთო უფლებაც, როდესაც უფლების განმახორციელებელი სუბიექტი რეალურად არ არის უფლებამოსილი პირი“¹⁵⁶.

¹⁵⁶ გადრანი, თ., არაკეთილსინდისიერი უფლებამოსილების ფარგლები, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012, 58

ქართული კანონმდებლობა მფლობელობის ორელემენტთან კონსტრუქციაზე აკეთებს არჩევანს: 1) ფაქტობრივი ბატონობა ყველა შემთხვევაში უნდა არსებობდეს. ამასთან, მასში იგულისხმება არა ფიზიკური შემხებლობა, არამედ პირის სურვილი ფლობდეს ქონებას მესაკუთრის მსგავსად. დროებით მასთან მოშორება არ შეიძლება ჩაითვალოს მფლობელობის შეწყვეტად. 2) ნებელობითი ელემენტი, იგი მფლობელისაგან მოითხოვს, სულ მცირე, იმის გაცნობიერებას, რომ ხორციელდება ფაქტობრივი ბატონობა. თუმცა, მხოლოდ გაცნობიერება საკმარისი არაა. აუცილებელია, მფლობელის განზრახვა ნივთს ფლობდეს საკუთარი ინტერესებისთვის, მფლობელობა მიმართული უნდა იყოს მფლობელის პირადი სარგებლობისთვის¹⁵⁷.

საწინააღმდეგოს დაშვების შემთხვევაში სამართლის ზოგიერთი სუბიექტი სამართლებრივი დაცვის მიღმა აღმოჩნდებოდა. ამდენად, მფლობელობის წარმოსაშობად აუცილებელია პირი საკუთარი სურვილით ახორციელებდეს ფაქტობრივ ბატონობას ქონებაზე.

მოცემულ გადაწყვეტილებაში სასამართლო მართებულად მიჯნავს მფლობელობის ორ სახეს, სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისად. მფლობელობის მართლზომიერება დამოკიდებულია მისი წარმოსაშობის საფუძველზე. იურიდიულ საფუძველად კი მესაკუთრის მიერ სამართლებრივად ვარგისი გადაცემული უფლებამოსილება მიიჩნევა. სკ-ის 999-ე მუხლის მე-4 ნაწილი მართლზომიერი მფლობელის ნების გარეშე სატრანსპორტო საშუალების გამოყენებისას პასუხისმგებლობას არამართლზომიერ მფლობელს აკისრებს. აღსანიშნავია, რომ ლინგვისტური თვალსაზრისით, მცირეოდენ უზუსტობასთან გვაქვს საქმე, კერძოდ, მფლობელის ნაცვლად გამოყენებული უნდა იყოს მითითება წინა მფლობელზე, ვინაიდან, როგორც უკვე ითქვა, მფლობელობა წარმოიშობა ფაქტობრივი ბატონობით. თუნდაც მისი არამართლზომიერება, იწვევს წინა

¹⁵⁷ ქოჩაშვილი ქ., მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთდამოკიდებულება (ცნებებისა და საკუთრების უფლების წარმოსაშობის ჭრილში), სამართლის ჟურნალი N1, 2011, 109, შემდგომი მითითება - ჩიტოშვილი თ., დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, N1, 2008, 58

მფლობელობის შეწყვეტას. შეწყვეტილ მფლობელობაზე კი წინა მფლობელი ვერ განახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას. ამიტომაც, უფრო მართებული იქნებოდა ტერმინის, წინა მფლობელი, გამოყენება.

რაც შეეხება მეორე შემთხვევას, ვგულისხმობთ სატრანსპორტო საშუალებაზე მფლობელობის მართლზომიერად განხორციელებას, გასათვალისწინებელია ორი მომენტი: 1) მომეტებული საფრთხის წყაროს ექსპლუატაცია ხდება მოსარგებლის მიერ; 2) მფლობელი ავტომანქანას გადასცემს სხვა პირს და, ასევე, მასზე მფლობელობას.

პირველ შემთხვევაში ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ მფლობელი და მოსარგებლე. 155.2-ე მუხლის მიხედვით, მფლობელად არ მიიჩნევა პირი, რომელიც ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას, მაგრამ სხვა პირის სასარგებლოდ. მართალია, სამოქალაქო კოდექსი არ მიუთითებს, მაგრამ პირი მოსარგებლედ ე.ი. მჭერად, მპყრობელად მიიჩნევა სუბიექტი, რომელიც ფაქტობრივ ბატონობას სხვა, მესამე პირის მითითებების შესაბამისად ახორციელებს. „იმისათვის, რომ სახეზე იყოს მპყრობელობითი ურთიერთობა, უნდა არსებობდეს ერთდროულად ორი წინაპირობა: 1) ფაქტობრივი ბატონობის განმახორციელებელი პირი დამოკიდებული უნდა იყოს სხვა პირის - ნივთის მფლობელის მითითებებზე; 2) ფაქტობრივი ბატონობა უნდა ხორციელდებოდეს მფლობელის ინტერესებში, მის სასარგებლოდ“¹⁵⁸. მპყრობელს, მფლობელისაგან განსხვავებით, არ გააჩნია კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები. „მპყრობელი არ არის ნივთის მფლობელი; ამდენად, მას არ შეუძლია დაიცვას თავისი ფაქტობრივი ბატონობა მფლობელობითი სარჩელებით“¹⁵⁹. ამიტომაც, მასზე იმ რისკების დაკისრება, რაც სამოქალაქო ბრუნვას ახასიათებს, უმართებულო და უსამართლო იქნებოდა. აქვე უნდა ითქვას, მოსარგებლეს პასუხისმგებლობა დაეკისრება დელიქტის ზოგადი ნორმების საფუძველზე.

¹⁵⁸ ზ. ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), მეოთხე გამომუშავებული გამოცემა, თბილისი, 2016, 90

¹⁵⁹ იქვე, 90

სრულიად განსხვავებული სიტუაციაა უშუალოდ მფლობელობის გადაცემის შემთხვევაში. როდესაც მესაკუთრის ან მფლობელის (მესაკუთრის თანხმობისას) მიერ ხდება მფლობელობის გადაცემა, ახალი მფლობელი გვევლინება სკ-ის 999-ე მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებელ პირად.

გასაზიარებელია სასამართლოს მოსარება მომეტებული საფრთხის წყაროს ექსპლუატაციისას ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის თაობაზე. ავტომანქანის გამოყენებისას მფლობელის მხარესაა სამართლებრივი რისკები. გასათვალისწინებელია, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა გამოიხატება მტკიცების ტვირთის გადაწევაში. დაზარალებულმა უნდა ამტკიცოს ზიანის მიყენების ფაქტი, დელიქტის შემადგენლობის სხვა წინაპირობების არსებობა პრეზუმირებულია და მისი გაქარწყლების ვალდებულება ზიანის მიმყენებლის მხარესაა. მან უნდა ამტკიცოს ფორსმაჟორის არსებობა.

დაუშვებელია სკ-ის 999-ე მუხლში ნახსენებ მფლობელში მესაკუთრის, როგორც არაპირდაპირი მფლობელის, მოაზრება. სამართლის ნორმის განმარტების პრინციპებიდან გამომდინარე, მისი შინაარსი უნდა დადგინდეს კანონშემოქმედის მიერ ნორმაში ჩადებული მიზნის შესაბამისად. იმისდა მიხედვით, განმარტების რომელი ხერხით მიიღწევა ნორმის მიზანი, უნდა გამოვიყენოთ ყველა პრაქტიკული, სიტყვასიტყვითი ან ტელეოლოგიური განმარტება.

სკ-ის 999-ე მუხლი ადგენს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას, რომლის საშუალებითაც დაზარალებულისათვის იქმნება სამართლებრივად დაცული გარანტიები ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის სახით, ასევე, დელიქტური ქმედების პრევენციისათვის მომეტებული საფრთხის წყაროს გამომყენებელს „აიძულებს“ განსაკუთრებული სიფრთხილით და გულისყურით მოეკიდოს მის ექსპლუატაციას.

ამდენად, ჩვენ ვხედავთ, რომ სამართლის ნორმით დასახული მიზანი მიიღწევა, როგორც გრამატიკული, ისე ტელეოლოგიური განმარტებით.

მესაკუთრისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებით დელიქტურ ურთიერთობაში ხელოვნურად ხდება მესამე პირის ჩართვა, რაც სცილდება საკანონმდებლო დანაწესით დაცულ ფარგლებს და იწვევს მესაკუთრის დასჯას.

მფლობელის ცნებაში არაპირდაპირი მფლობელის მოაზრება პრობლემურია სხვა კუთხითაც, კერძოდ, დაუშვებელია პირს ქმედების (როგორც მოქმედების, ისე უმოქმედობის) გარეშე დავაკისროთ პასუხისმგებლობა თუნდაც ბრალის გარეშე. არ არის ქმედება, არ იქნება ზიანიც. თუ დავუშვებთ, მესაკუთრის ქმედება მფლობელისათვის მომეტებულ საფრთხის წყაროზე ფაქტობრივი ბატონობის გადაცემაში გამოიხატება, ჩნდება მიზეზობრივი კავშირის პრობლემა. მიზეზობრივი კავშირი უნდა დადგინდეს ეკვივალენტურობის პრინციპის მიხედვით, რომლის თანახმად, ქმედება უნდა იყოს შედეგის ეკვივალენტური¹⁶⁰. მისი ჯაჭვი შეიძლება ერთ ან რამდენიმე მიზეზს აერთიანებდეს, ამ შემთხვევაში, მიზეზობრივი კავშირი დგინდება თითოეული მიზეზის ურთიერთკავშირის საფუძველზე¹⁶¹. თუ სატრანსპორტო საშუალებაზე მფლობელობის გადაცემას განვიხილავთ როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაშინ ყველა იმ პირს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ვინც ახორციელებდა ფაქტობრივ ბატონობას.

¹⁶⁰ ბათლიძე გ, ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ზიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, 35

¹⁶¹ იქვე, 35

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომმა ნათლად ცხადყო, რომ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის სამართლებრივი ინსტიტუტისადმი არაერთი გამოწვევა არსებობს. გამოვლინდა ქართული სასამართლოების მიერ ნორმის არასწორი განმარტება.

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას ზიანის მიყენება განსაკუთრებული შემთხვევაა, რომელსაც სპეციალურად აწესრიგებს სკ-ის 999-ე მუხლი. მასში ნახსენებია მფლობელი და არაა დაკონკრეტებული პირდაპირი უნდა იყოს იგი თუ არაპირდაპირი. სამართლის ნორმის ბუნდოვანების შემთხვევაში დგება მისი განმარტების საჭიროება. ასეთ დროს კი ყურადღება უნდა მივაქციოთ მიზანს. 999-ე მუხლის მიზანი კი მდგომარეობს სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ ექსპლუატაციის წესების ზედმიწევნით დაცვაში, ასევე, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის გავრცელებით მტკიცების ტვირთის განსაზღვრაში.

დელიქტის შემადგენლობის არსებობისათვის უნდა არსებობდეს შესაბამისი წინაპირობები. აქედან ერთ-ერთი პირის ქმედება, რომელშიც იგულისხმება, როგორც მოქმედება, ისე უმოქმედობა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში პირს პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ ეკისრება თუკი მას ქმედების ვალდებულება გააჩნდა, მაგრამ არ განახორციელა იგი. ქმედების არარსებობის შემთხვევაში დელიქტური ურთიერთობისათვის წარმოშობისათვის დადგენილ სხვა წინაპირობები შემოწმებას აღარ საჭიროებს, ვინაიდან ქმედების გარეშე არც ზიანი არსებობს და არც მართლწინააღმდეგობა. ამდენად, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, ზემოაღნიშნული გარემოებანი. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა ისე არ უნდა გავიგოთ თითქოსდა კანონმდებელს პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება სურდა ქმედების გარეშე. იგი მტკიცების ტვირთის განაწილებაში გამოიხატება. მოგეხსენებათ, მატერიალური სამართლის ნორმა შესაძლებელია თავად განსაზღვრავდეს მხარეების მტკიცების საგანს. სწორედ ასეთად უნდა მივიჩნიოთ სკ-ის 999-ე მუხლი. ბრალის გარეშე

პასუხისმგებლობით მარტივდება მოსარჩელისათვის ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი. მან უნდა ამტკიცოს, რომ დადგა ზიანი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის გამო. დელიქტური ურთიერთობის სხვა გარემოებების არსებობა კი პრეზუმირებულია, რომელსაც საფუძვლად ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა უდევს. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია დელიქტური ურთიერთობის მხარეები. თუ შეჯახება ავტომანქანებს შორის მოხდა, მაშინ მტკიცების ზოგადი ტვირთი უნდა გამოვიყენოთ, ხოლო ქვეითისათვის/საგზაო მოძრაობის სხვა მონაწილისათვის ან ნებისმიერი მესამე პირისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ პრეზუმციით.

კიდევ ერთი პრობლემა, რასაც მესაკუთრის დელიქტურ ურთიერთობაში ჩართვა იწვევს, მიზეზობრივ კავშირს ეხება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზიანი ქმედების გარეშე უნდა გამოვრიცხოთ. თუ არ არსებობს ქმედება, ვერ მოხდება ზიანის მიყენებაც. ხოლო, თუ ქმედებად განვიხილავთ მესაკუთრის მიერ პირდაპირი მფლობელისათვის სატრანსპორტო საშუალების გადაცემას, მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვი უსასრულოდ გაგრძელდება.

წინამდებარე ნაშრომით, ასევე, გამოიკვეთა პირის გარდაცვალების შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია, რომ პირს ასეთი უფლება არ უნდა ჰქონდეს შეზღუდული და სახელმწიფოს კანონმდებლობით მსგავსი შემთხვევები დარეგულირებული უნდა იყოს.

ქართულ რეალობაში ამ პრობლემის გადაჭრის ორი გზა არსებობს. პირველი მდგომარეობს საკანონმდებლო ცვლილებაში, რომელიც არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მუხლს უნდა დაემატოს. მასში უნდა გაიწეროს, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტი, მოთხოვნის მოცულობის განსაზღვრის საშუალებები.

რაც შეეხება მეორე გზას, იგი 999-ე მუხლშია მოცემული, სადაც პირის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების თაობაზეა მითითება.

999-ე და 413-ე მუხლების სინთეზური ანალიზით, ასევე, ლოგიკური განსჯის შედეგად, სასამართლოს შესაძლებლობა ექნება დაუშვას მსგავს შემთხვევებზე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ქართული

- ი. სვანაძე, დელიქტური გენერალური დათქმა და პასუხისმგებლობა სუფთა სახის ქონებრივი ზიანისათვის, თბილისი, 2019
- გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბილისი, 2004
- მ. ბიჭია, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016
- სახელმწიფო სამართალი, გ. ჯუღელის რედაქტორობით, თბილისი, 2014
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ლ. ჭანტუიას რედაქტორობით, თბილისი, 2001
- ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, (მეორე გამოცემა), თბილისი, 1999
- ზ. ძლიერიშვილი, ჩუქება და სამისდღეშიო რჩენა (თეორია და პრაქტიკა), თბილისი, 2018
- პ. ბიოლინგი, პ. ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, ბრემენი-თბილისი, 2004-2009
- რ. შენგელია, ქონებრივი ზიანი და მისი ანაზღაურების ვალდებულება, თბილისი, 1991
- ზ. ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), მეოთხე გამომუშავებული გამოცემა, თბილისი, 2016
- თ. ტარტარაშვილი, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, თბილისი, 2019
- ლუტრინგჰაუსი, პ., დელიქტური სამართალი, GIZ, თბილისი, 2011
- ქ. მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბილისი, 2020
- სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, თბილისი, 2009
- ზ. ჭეჭელაშვილი, მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, 2008
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007
- კვანტალიანი ნ., პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, თბილისი, 2014
- თ., შოთაძე, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, თეორია, პრაქტიკა, შედარებითი კვლევა, თბილისი, 2017

სტატია

ბათლიძე გ, ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, 15

ძლიერიშვილი ზ, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012, 104

ქოჩაშვილი ქ, ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა, სამართლის ჟურნალი N1, 2009, 78

ჩიკვაშვილი შ., დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში. კრებული - სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები, თბილისი, 2003, 186

წულაძე მ, მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლები, სამართლის ჟურნალი N1, 2015, 271

ხოლუაშვილი ნ., უფლებამონაცვლეობის ზოგადი მიმოხილვა, მართლმსაჯულება და კანონი, N2 (33)12, 2012, 51

ბიჭია., მ. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, მართლმსაჯულება და კანონი N3(51), 2016, 103

გაიპარაშვილი მ., ახლობელი ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში მორალური ზიანის ანაზღაურება საქართველოს სამართლის მიხედვით, კერძო სამართლის მიმოხილვა N2, 2019, 159

ათაბეგაშვილი, დ., სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობა და მისი ადგილი სასამართლო პრაქტიკაში მართლმსაჯულება და კანონი N4 (43)14, 2014, 119

გადრანი თ., არაკეთილსინდისიერი უფლებამოსილების ფარგლები, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2012, 58

ქოჩაშვილი ქ., მფლობელობისა და საკუთრების ურთიერთდამოკიდებულება (ცნებებისა და საკუთრების უფლების წარმოშობის ჭრილში), სამართლის ჟურნალი N1, 2011, 105

ინგლისური

S. Shavell, LIABILITY FOR ACCIDENTS, 2007

Church/Corbett/Richard/White, Tort Law, The American and Louisiana Perspectives, 2008,

სასამართლო გადაწყვეტილებები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ივლისის ას-254-239-2010 განჩინება